პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 9 (20655) — ოთხშაბათი, 10 იანვარი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

9 იანვარს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა. მასზე საგანგებო მსჯელობის საგნად იქცა ინფორმაცია შიდა ქართლის რეგიონში შექმნილი მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის განხორციელებული ღონისძიებების მიმდინარეობისა და მათი გაკეთილშობილების შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის დავალების შესაბამისად უკანასკნელ დღეებში საგრძნობლად გაიზარდა რეგიონში მყოფი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალების რაოდენობა, მათი მოქმედება წარმოებს საგანგებოდ შექმნილი ოპერატიული სქემისა და წესების მიხედვით. ამ და სხვა ენერგიული ღონისძიებების შედეგად მოხდა ვითარების საგრძნობი სტაბილიზაცია, არსებითად შეიზღუდა თვითმოქმედი სატატრული საგუშაგოების მოქმედება. თბილისიდან ცხინვალამდე ტრასაზე პრაქტიკულად შეუზღუდავი მოძრაობაა. ბიუროს სხდომაზე დაისახა დამატებითი ღონისძიებები ამ მხრივ გაწეული მუშაობის კიდევ უფრო გაკეთებისა და ბოლომდე მიყვანისათვის, რათა მოსახლეობამ უახლოეს დღეებში სრული სიმშვიდის მტკიცე გარანტია იგრძნოს.

ბიუროს განიხილა რესპუბლიკის ელექტროენერგიით მომარაგებაში შექმნილი მძიმე სიტუაცია და დასახა შესაბამისი ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

განიხილეს საკითხი აგროსამრეწველო კომპლექსში შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული ფორმების დანერგვისათვის საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ ძირითადად სწორად დაყენებულა საქმე, მშრომელთა სოციალურმა დაინტერესებამ და მათმა დამოუკიდებლობამ საგრძნობლად გაზარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა, მომუშავეთა შემოსავალი. მიუხედავად ჯერ კიდევ არსებული გამოუყენებელი რეზერვებისა, აგრეთვე რიგი ხარვეზებისა ლაგოდეხელთა გამოცდილება შესწავლასა და სხვა რეგიონებში გავრცელებას იმსახურებს.

განხილულ იქნა აგრეთვე საქართველოში თევზის მრეწველობის შემდგომი განვითარების საკითხი. ბიურომ პრინციპული შეფასება მისცა ამ მხრივ დარგში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს, აღნიშნა, რომ ობიექტური მიზეზებით არ შეიძლება გავამართლოთ ამ დარგის ჩამორჩენა, რომელსაც საგრძნობი როლი შეუძლია შეასრულოს მოსახლეობის სურსათით მომარაგების საქმეში. დაისახა მდგომარეობის გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებანი.

ბიურომ პრინციპული მსჯელობის საგნად აქცია პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში მშრომელთა წერილებისა და მიმართვებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულების ფაქტები და ყურადღება გამახვილა იმაზე, რომ ყველა ხელმძღვანელი ვალდებულია გამოიჩინოს მაქსიმალური ყურადღება და თანდგომა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც სამართლიანად აღელვებს მოსახლეობას, და კონკრეტულად არის ასახული მშრომელთა წერილებში. აღინიშნა, რომ ხელმძღვანელები პერსონალურად აგებენ პასუხს მშრომელთა მიმართვებისადმი ბიუროკრატიული და უსულგულო დამოკიდებულების ყოველი ფაქტისათვის.

ბიურომ განიხილა აგრეთვე საკადრო და ზოგიერთი სხვა საკითხი.

• • •

იმავე დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე კვლავ იმყოფებოდა შიდა ქართლში. ის შეხვდა ზნაურის, ცხინვალის, ქარელისა და გორის რაიონების პარტიულ და სამეურნეო აქტივს, მშრომელებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილზე მყოფ პირად შემადგენლობას, დეტალურად გაეცნო მდგომარეობის სტაბილიზაციისა და ნორმალიზაციის პროგრამის შესრულების მიმდინარეობას. განსაზღვრული იქნა ამ თვალსაზრისით კონკრეტული დამატებითი დავალებები.

ღია კოსმოსში

ფრენის მართვის ცენტრი, 9 იანვარი (საკდესი). „მირ“ სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენის პროგრამის შესაბამისად ალექსანდრე ვიქტორენკო და ალექსანდრე სერებროვი გავიდნენ ღია კოსმოსურ სივრცეში. კოსმოსში გასვლის ძირითადი მიზანია ორი ვარსკვლავური გადამწოდის დაყენება, რომელიც განკუთვნილია კომპლექსის ორიენტაციის სისტემის სიზუსტის გაზრდისათვის.

8 იანვარს 23 საათსა და 23 წუთზე მოსკოვის დროით კოსმონავტებმა გასხნეს გადასასვლელი ნაკვეთურის გარეთა ლუკი და გავიდნენ სადგურის გარე ზედაპირზე.

მოწყობილობა და დამონტაჟებისათვის საჭირო ინსტრუმენტები ეკიპაჟმა გადაიტანა სამუშაოთა შესრულების ზონაში „კვანტ“ ასტროფიზიკური მოდულის სამეცნიერო ხელსაწყოთა ნაკვეთურში. შემდეგ კოსმონავტებმა საშტატო ადგილებზე დადგეს ვარსკვლავური გადამწოდები და შეუერთეს ისინი ორბიტული კომპლექსის საბორტო ავტომატიკის საერთო კონტურს.

სადგურის გარე ზედაპირზე მეთაურმა და ბორტინჟინერმა დაშალეს სხვადასხვა მასალის ნიმუშები, რომლებიც დიდხანს იყო ექსპონირებული ღია კოსმოსური სივრცის პირობებში.

დასახული სამუშაოთა დასრულების შემდეგ კოსმონავტები დაბრუნდნენ სადგურში. ღია კოსმოსში ეკიპაჟის ყოფნის საერთო დრომ 2 საათი და 56 წუთი შეადგინა.

ალექსანდრე ვიქტორენკო და ალექსანდრე სერებროვი ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ.

ფრენა გავშვებს ეძღვნება

მოსკოვი. 8 **იანვარი (საკდესის კორ. ა. ფილიპოვი).** დღეს საბჭოთა ჟურნალისტების — კოსმოსში ფრენის კახდიდატების — პირველი ოთხეული შეუდგა საქმიო შერჩევის მეორე ეტაპის გავლას სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო-ბიოლოგიური პრობლემების ინსტიტუტში. აქამდე კოხეურსის ფინალისტთა 35-კაციანმა ჯგუფმა ამბულატორიული სამედიცინო კვლევა გაიარა. კოსმოსურ სტაციონარში ფრენი დაშვებულია ცენტრალური და რეგიონალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელი 22 ჟურნალისტი.

შეგახსენებთ, რომ „მირ“ სადგურით პირველი ჟურნალისტის საქმელმოქმედო კოსმოსური ფრენა დეგენიზ „კოსმოსი — ბავშვებს“. ფრენისათვის მზადების, ფრენის დროს და მას შემდეგ მიღებული მთელი სახსრები მოხმარდება ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების საჭიროებებს. პირველი შეწირულობანი უკვე ჩაირიცხა ვ. ი. ლენინის სახელობის საბავშვო ფონდის №707101 და №70700001 სპეციალურ ანგარიშებზე (შესაბამისად მანეთობით და ვალუტით).

სსრ კავშირში ვიზიტად ჩამოვა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ვ. ჰაველი

საბოთა ხელმძღვანელობის მოწვევით ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი სამუშაო ვიზიტად ჩამოვა საბჭოთა კავშირში ა. წ. თებერვლის დამდეგს. (საკდესი).

იშრიალონ თუთის ხეებმა

თუთის ნერგებით ამარაგებს კახეთის, ქართლისა და რაჭის მეურნეობებს გურჯაანის რაიონის კოლაგის მეთუთეობის სანერგე საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ერთადერთია ამ პროფილით. აქაური მიწათმოქმედნი გადაჯარბებით ასრულებენ ყოველწლიური მიწოდების გეგმას — კვირტით ნამყენ სამი ათას ნერგს. მომავალი სეზონისათვის კი სოფლის მშრომელები, რომლებმაც სანერგეები იჯარით აიღეს, ნაზევარი მილიონი მაღალხარისხოვანი ნერგის მოწოდებას აპირებენ, ასე რომ, მალე აშრიალდება ახალი თუთნარები.

სურათზე: კოლაგის მეთუთეობის სანერგე საბჭოთა მეურნეობის მოჯარე ვანო წინწალაშვილი.

საქინფორმის ფოტო.

შეიქმნა ივანე მაჩაბლის საზოგადოება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 3 იანვრის დადგენილებით რეგისტრირებულია დიდი ქართველი მამულიშვილის ივანე მაჩაბლის საზოგადოების წესდება. საინიციატივო ჯგუფი ახლა აქტიურ მოსამზადებელ მუშაობას ეწევა საზოგადოების პირველი დამფუძნებელი ყრილობის მოსაწვევად.

ამ საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებზე საუბრობს საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარე, პროფესორი **გურამ შარაძე:**

— რესპუბლიკის მთავრობა დიდი გულისყურით მოეკიდა გაზეთ „თბილისში“ ამას წინათ გამოქვეყნებულ საინიციატივო ჯგუფის წერილს ივანე მაჩაბლის საზოგადოების შექმნის თაობაზე, დაუყოვნებლივ დაგვიჭირა მხარი და თავისი ახალი წლის პირველსავე სხდომაზე, 3 იანვარს, რეგისტრაციაში გაატარა ივანე მაჩაბლის საზოგადოების წესდება. მანამდე კი საზოგადოების წესდების სამართლებრივი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით დახვეწა-დაზუსტებას სათანადო ამაგი დადეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიულმა და კულტურის განყოფილებებმა. ასე რომ, ივანე მაჩაბლის საზოგადოება უკვე იურიდიული პირია, რომელსაც ეძლება საკუთარი ემბლემა, დროშა, ბეჭედი და სანმაკო ანგარიში, ხოლო წესდების ტექსტი მალე გამოქვეყნდება პრესაში.

ივანე მაჩაბლის საზოგადოება თვითმმართველობაზე დამყარებული ნებაყოფლობითი საზოგადებრივი ორგანიზაციაა, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი „ასოციაციებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად.

საზოგადოების უპირველესი და უმთავრესი მიზანია ეროვნებათშორის, მეგობრობის განმტკიცება, ქართული კულტურის აღორძინებაზე ზრუნვა საერთოდ, და სახელდობრ, შიდა ქართლში, კერძოდ, ისტორიულ სამაჩაბლოსა და ქსნის ხეობისთვის; ამასთან, სხვა ერების კულტურული მონაპოვრების დაცვა — აი, საზოგადოების მოწოდება. დიდმა მამულიშვილმა თავისი ნიჭი ჯერ უპირველად მოახმარა ქართული მთავრამწყობითი სკოლის ჩამოყალიბებას, სხვადასხვა ხალხთა ლიტერატურის დაახლოებას. სამაგალითოა მისი მეგობრობა ქართული კულტურით დაინტერესებულ არაერთ სახელოვან მოღვაწესთან. ივანე მაჩაბლის ტრადიციები ამ მხრივაც მრავლისმთქმელია და მრავლისმომცველია, და მათი მივიწყება არავის ეგების.

რა ღონისძიებების გატარებას ფიქრობს საზოგადოება?

უპირველესად საჭიროა ამ მხარის ნამდვილი ისტორიის დაწერა, დღემდე შემორჩენილი ისტორიული ძეგლების სრულად შესწავლა და რესტავრაცია-ფიქსაცია რესპუბლიკის ძეგლთა დაცვის მთავარ სამეცნიერო საწარმოო სამართველოსთან მჭიდრო კავშირში. მხედველობაშია რეგიონში არსებული ისეთი ძეგლები ჩვენი ისტორიისა და კულტურისა, როგორიცაა ხეთის საბაწმინდა, თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, აჩიბეთის წმინდა ნიკოლოზის ტაძარი, აჩაბეთისა და სვერის ციხეები, მაჩაბელთა სახლები და თავდაცვითი ნაგებობანი ცხინვალსა და თამარაშენში, აგრეთვე დიდი ღირებულისა და მომიჯნავე მხარეების ისტორიული ძეგლების დაცვა, ღვთისმსახურების აღდგენა თირის მონასტერსა და სოფელ ერედვის ეკლესიაში. ქართველი ხალხის მატერიალური და ყოფითი კულტურის შესწავლა, ეთნოგრაფიული მასალების მოწესრიგება და ზემოხსენებულ ძეგლებში როგორც მაჩაბელთა გვარის, ისე იქ მცხოვრები მოსახლეობის ისტორიის ამსახველი მუდმივი გამოფენების მოწყობა, ყველა სიგელ-გუჯრის შესწავლა, რომელიც მაჩაბელთა გვარსა და მოლიანად ხეობას შეეხება. მათ საფუძველზე ლაპიდარულ წარწერებთან ერთად ცალკე კორპუსის გამოცემა, რომელიც საქართველოს ისტორიის შესწავლის მუდმივი წყარო გახდება.

საზოგადოება აპირებს მოიზიდოს ისტორიკოსები, არქეოლოგები, ეთნომეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მცოდნენი, — მათ შორის, რა თქმა უნდა, თვით ოლქში მომუშავე სამეცნიერო ძალებიც მყავს მხედველობაში, — დასახული მიზნის მაღალ მეცნიერულ დონეზე შესასრულებლად. მით უმეტეს, რომ ბევრი რამ მოელის დადგენა-დაზუსტებას, ჭეშმარიტ მეცნიერულ მიდგომას და დაინტერესებას.

საქართველოს მწერალთა კავშირის ხელშეწყობით უნდა დაარსდეს ლიტერატურული ალმანახი, აგრეთვე გაზეთი „სამაჩაბლო“, რომელიც ობიექტურად გაშუქებს ამ მხარის როგორც წარსულ, ისე თანამედროვე თუ სამომავლო საჭირბოროტო საკითხებს. ამასთან, თავს მოვუყრით ადგილობრივ შემოქმედებით ძალებს, მოვიზიდავთ ახალგაზრდა ავტორებს, ყოველმხრივ ხელსაყრელ პირობებს შეუქმნით მათ აქტიური შემოქმედებითი საქმიანობისა და მთარგმნელობითი მუშაობისათვის, გავაჩაღებთ ფოტოლიტოგრაფიულ-შემკრებლურ საქმიანობას, ჩავიწერთ ისტორიულ გადმოცემებს, თქმულებებს... ასე რომ, სამკალი ბევრია მომავალი ალმანახისა და გაზეთისათვის.

საზოგადოების ინტერესთა სფეროში მოექცევა დემოგრაფიული პრობლემები, იგი აქტიურად ჩაერთვება მოსახლეობის მიგრაციისა თუ აღწარმოების მწვავე საკითხების პრაქტიკულად გადაწყვეტაში. ალბათ, საზოგადოება მოსახლეობის მიერ მიწების ათვისების, ყიდვა-გაყიდვის თაობაზე რესპუბლიკის მთავრობისათვის წინადადებების მომზადებისა და მიღებული გადაწყვეტილებების ცხოვრებაში განუხრელი გატარების საკითხებსაც ვერ აუვლის გვერდს.

უნდა დაჩქარდეს თამარაშენში ივანე მაჩაბლისა და ცხინვალში აკადემიკოს ქრისტეფორე არეშიძის სახლ-მუზეუმის ამოქმედება, რომლებიც უეჭველად გახდებიან ქართული კულტურის აღორძინების ხელშეწყობის დიდი კერები. ვფიქრობთ, დავაწესოთ ყოველწლიური სახალხო ზეიმი „ვახოობა“, რომელიც მიეძღვნება დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ივანე მაჩაბლის ხსოვნას, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის კიდევ უფრო მეტ პოპულარიზაციას... ყველაფერი ეს მჭიდროდ დაუკავშირდება ჩვენს მიწაზე მცხოვრები ხალხების სახელოვან მამულიშვილთა ხსოვნისა და ამაგის აღდავიწყებას, მათი ნაღვლი სახელების კიდევ უფრო გამობრწყინებას.

სხვაც ბევრი რამ აქვს ჩვენს საზოგადოებას სამომავლოდ ჩაფიქრებული და გასაკეთებელი ამ მხარის სასიკეთოდ, ისტორიული ძმობისა და მშვიდობის „ოსადგენად...

საზოგადოების წევრი შეიძლება გახდეს 16 წლის ასაკს ზემოთ ყველა მოქალაქე განურჩევლად ეროვნებისა, ვინც აღიარებს საზოგადოების წესდებას, გადაიხდის საწევროს და ხელს შეუწყობს მის საქმიანობას. საზოგადოების კოლექტიური წევრი შეიძლება იყოს საწარმოო-დაწესებულებები, ორგანიზაციები. მინდა ყველას გასაგონად ვთქვა, რომ ივანე მაჩაბლის საზოგადოება არ არის რაიმე რეგიონალური კუთხური ორგანიზაცია, იგი სრულიად საქართველოს საზოგადოებაა და ამდენად სრულიად საქართველოს მხარდამჭერის იმედი აქვს.

• • •

8 იანვარს, ივანე მაჩაბლის საზოგადოების საინიციატივო ჯგუფმა შეხვედრა მოაწყო საზოგადებრივობის წარმომადგენლებთან, ცნობილ ქართველ მეცნიერებთან, ხელოვნების, ტექნიკის სფეროს მუშაკებთან. შეხვედრაში მონაწილეობდა აგრეთვე შიდა ქართლიდან ჩამოსული ქართველთა ერთი ჯგუფი.

კრების თავმჯდომარემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა გურამ შარაძემ დამსწრეთ გააცნო ახლადშექმნილი საზოგადოების ფუნქცია და ამოცანები, ისაუბრა იმ ძირითად პრინციპებზე, რომელსაც ეს საზოგადოება ემყარება, აღინიშნა მისი დიდი მისია და პასუხისმგებლობა თანამედროვე პირობებში.

სიტყვით გამოსულებმა მხარი დაუჭირეს ივანე მაჩაბლის საზოგადოების შექმნის იდეას, ილაპარაკეს შიდა ქართლში ამჟამად მიმდინარე პროცესებზე და ხაზი გაუსვეს, რომ სწორედ ამ საზოგადოებამ უნდა იტვირთოს იქ ქართული თვითმყოფადობის, ისტორიული სინამდვილის აღდგენა-დამკვიდრებისა და განმტკიცების მისია.

კრებაზე შეიმუშავეს საზოგადოების მომავალი დამფუძნებელი ყრილობის ამოცანები, გამოთქვეს მრავალი წინადადება, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს.

კომპეტენციურობა-გზის გამკვლევი

საბერძნეთიდან, საფრანგეთიდან... მოკლედ რომ ვთქვათ, დღეს გაერთიანებას საბოლოოდ არა აქვს. ამის მთავარი წყაარო ასორტიმენტის ცვლილებადობის უწყვეტი პროცესია.

ახლა მთელი კოლექტივი მობილიზებულია იმისათვის, რომ აღარ შეიღახოს ქუთაისური ქსოვილის აღდგენილი რეპუტაცია. ეს გოგონაც, კომუნისტი ასმათ კვარაცხელია (სურათზე — ქვემოთ), საფეიქრო პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1984 წელს რომ მოვიდა გაერთიანების მესამე საქსოვ საამქროში სამუშაოდ, ერთი იმ ათასთაგანია, ვინც დიდი გულმოდგინებითა და თავდადებით ემსახურება 18 დაზგას და მხოლოდ მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებს. სწორედ ასეთების დიდი დამსახურებაა, რომ საწარმოში მარტო წლეულს, წინა წლისაგან განსხვავებით, 2-ჯერ შემცირდა რეკლამაციების რიცხვი, ხოლო ეს მაჩვენებელი 10-ჯერ და მეტად უკეთესია 1986 წელთან შედარებით. შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებასთან ერთად, ხარისხის გაუმჯობესების მთავარ ფაქტორად გამოიკვეთა საწარმოს ტექნიკური კვლევაღჭურვისათვის ზრუნვა. მარტო შარშან ამ მიზნით ხუთ მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა, ერთი ამდენი — წლეულსაც. და, თქვენ წარმოიდგინეთ, გაერთიანებამ ეს სესხის აუღებლად, საკუთარი სახსრებით შეძლო. 1987 წლამდე კი, ვიდრე სრული სამეურნეო ანგარიშით მუშაობას შეუდგებოდა, კოლექტივი ვალებში იხრჩობოდა. ახლა კი მომჭირნედ ეკიდებიან თითოეულ მანეთს, იღვწიან დანაკარგების მაქსიმალურად შემცირებისათვის. აამოქმედეს სამკერვალო საწარმო, რომელიც მხოლოდ ნარჩენებზე მუშაობს. ახლა ცდილობენ, მისი სამძლავრე 3-ჯერ გაზარდონ და წლიურად 2,5 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვან. შიდებული მოგებით კი მთლიანად დაინფარება საწარმოო წუნით გამოწვეული ზარალი.

ამ მომგებიან პროცესს დიდად შეუწყობს ხელს უქსოვადი წარმოება, რომელიც ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან ურთიერთთანამშრომლობით მოხტაედება და მომავალი წლის იანვრიდან ამოქმედდება. ამ დროიდან გაერთიანება უნარჩენოდ იმუშავებს. საგულისხმოა ისიც, რომ ამ მოკლე დროში გაერთიანებამ 25 პროცენტით გაზარდა სახალხო მოხმარების საქონლის დამზადება...

როცა საქმეს გონიერად მართავენ, მატერლობს თანამოსაქმეთა დარაზმულობა და ერთსულოვნება, ჩნდება მომავლის იმედი. ასე რომ, სამი წელია, გაერთიანებაში მოხსნილია სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის პრობლემა. ყოველწლიურად გადაჭარბებით ხორციელდება მოგების გეგმებიც, რაც მით უფრო საყურადღებოა, რომ 1980 წლიდან ეს მაჩვენებელი არც ერთ წელს არ შესრულებულა, 1984-1986 წლები დიდი ზარალითაც აღინიშნა. 1987 წლის იანვარში გაერთიანების ტერიტორიაზე მყოფ ფელეტონებისაგან დაბრუნებული ქსოვილებით სავსე კონტეინერები იყო მოზღვავებული, საწყობებში კი 8 მილიონი მეტრი ქსოვილი უმოძრაოდ ეწყო. დღეს კი არც ერთი დაბრუნებული კონტეინერი არა აქვთ, ნაშთების ლიკვიდაციის გამო გააუქმეს დაბრუნებული ქსოვილების საწყობიც. ბოლო ათი წლის განმავლობაში პირველად 1987 წელს შეიქმნა ეკონომიკური სტიმულირების ფონდები. თანხაში მან, უკანასკნელ სამ წელიწადში, 15140 ადამიანმა მანეთი შეადგინა. წელიწადზე მეტია, გაერთიანება აღარ საჭიროებს ბანკის კრედიტებს და საკუთარი შემოსავლით ფარავს ხარჯებს, აქ უკვე კონვერტირებული 400 ათას მანეთზე მეტი დაგროვეს. იმატა მუშაკების ფულადმა ანაზღაურებამ. ამ ეტაპზე ეს ფასეულობა 300 მანეთს აღემატება, ეს 25 პროცენტით მეტია, ვიდრე თვითდაფინანსებით მუშაობის დაწყებამდე იყო.

ამ ფინანსური შედეგებით გაერთიანების კოლექტივი, შარშანდელივან მოყოლებული, ყოველკვარტალურად გამარჯვებული გამოდის რესპუბლიკურ შეჯიბრებაში და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს საპატიო სიგელით ჯილდოვდება.

დიახ, გარდაქმნის შინაარსი კოლექტივის თითოეულმა წევრმა ორგანულად გაითვისა. ახლა თავიანთ აზრს გულწრფელად გამოთქვამენ ყოველ საკითხზე, დემოკრატიულად, საჯაროდ, შრომითი კოლექტივის საბჭოსთან მჭიდრო კონტაქტში წყვეტენ ტექნოლოგიური პროცესების დახვეწის, მეგანიზებიდან თუ ავტომატიზებული ციკლების დანერგვის საკითხებს. ეუფლებიან ეკონომიკურ აზროვნებას, სწავლობენ გონივრულ შრომას. ამიტომაც იმრავლა წარმატებებმა, ოკვეცება გადაუჭერელ საკითხთა წრე. ერთი მაგალითიც: გაერთიანება 1987-1988 წლებში დიდად დაზარალდა მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გადახდილი ჯარიმების გამო, წლეულს კი ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა.

ახლა, როცა გაერთიანება ფინანსურად წელგამართულია, ბევრ სოციალურ პრობლემასაც გიხსნა გადაწყვეტის გზები. 700-მდე მუშა-მოსამსახურე ითხოვს ბინას, მათ შორის ბევრი — 1966 წლიდან. ამ მოკლე დროში 167-მა ოჯახმა უკვე იზეიმა ახალმოსახლეობა. ეს მაშინ, როცა 1980 წლიდან აქ ბინა საერთოდ არ განაწილებულა. მრავალათასიან კოლექტივს სამი სასადილო აქვს, ადრე ერთზეც კი ოცნებობდნენ. სულ მალე საწარმოს ნანატრი კლუბიც იქნება. ორწლიანი პერსპექტივა კი სბავშვო ბაგა-ბაღის, სანატორიუმის ტიპის პროფილაქტორიუმის, კულტურის სახლის, პოლოკლინიკის (სტაციონარით), სუროამსა და ზღვისპირა დასასვენებელ ზონაში პანსიონატების, პიონერთა ბანაკის და სხვა მნიშვნელოვანი სოციალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობას თვალისწინებს.

თუმცა გადასაწყვეტი, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ: კვლავ მწვავედ დგას ბინათმშენებლობის, პროდუქციის ხარისხის, დაძველებული კორპუსების განახლების პრობლემები. მაგრამ მთავარი ის არის, რომ უკვე შეიქმნა გაერთიანების გენერალური რეკონსტრუქციის პროექტი და სრულყოფილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელთა ხორცშესხმა უფრო მეტ წარმატებას მოუტანს საწარმოს.

ვაშა თევდორაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

ოთარ ბერეჟიანიძის ფოტოები.

გონების, თავშეკავებისა და კანონის პატივისცემის პოზიციიდან

ბაკო, 8 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). აზერბაიჯანის სსრ პარტიული აქტივის აქ გამართულ თათბირზე დღეს განიხილეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის აქტუალური საკითხები.

თათბირში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. გირენკო, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე რ. ნ. ნიშანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და ქვეყნის საგარეოსამართლებრივი ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირზე მწვავედ დაისვა კითხვები, თუ როგორ მოხდა, რომ სწორედ აქ, აზერბაიჯანში დაირღვა ყველა ხალხისათვის ერთ-ერთი ყველაზე თაყვანსაცემი წმიდათაწმიდა რამ — სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი. კითხვები მარტივი არ არის, მაგრამ მოითხოვს პასუხს, პრინციპულ შეფასებას. წინასწარ ასეთი შეფასებები უკვე მისცეს რესპუბლიკის როგორც პარტიულმა, ისე საბჭოთა ორგანოებმა.

ამავე დროს აქტივის თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა სხვა რამეც, უნდა ითქვას, დღეისათვის პარტიული კომიტეტებისა და საბჭოთა ორგანოების საქმიანობაში უმთავრესია, უწინარეს ყოვლისა, გაერკვნენ: რატომ მოხდა, რომ ბევრი საკითხი, რომლებიც ადამიანებს აწუხებდა, მათ გრძნობებს, სამეურნეო მოთხოვნილებებს ეხებოდა, ასე დიდი ხნის მანძილზე არ წყდებოდა.

ნახიჩევანის ასს რესპუბლიკაში მგზავრობის შედეგების, შრომითს კოლექტივებთან, პარტიულ და საბჭოთა აქტივთან მრავალი შეხვედრის შესახებ ინფორმაცია თათბირზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ნ. გირენკომ.

მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ პერიოდი, რომელიც ახლა დაუდგა ქვეყანას, ნამდვილად გარდამტეხია. ან ჩვენ გადავჭრით ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმის პრობლემებს, ან ჩამოვრჩებით განვითარებაში. ეს სრულიად გარკვეულად ითქვა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმებზე.

თათბირზე სკა-ბაასის დროს არაერთგზის აღინიშნა, რომ სოციალურ და ეროვნებათშორის დაძაბულობას იწვევს არა მარტო ეკონომიკის შეუწონასწორებლობა, არამედ რესპუბლიკის სუვერენიტეტის საკითხები, არაჯანსაღი რეზონანსი მოჰყვა დღეს იმას, რომ ვერა და ვერ გადაჭრა მთიანი ყარაბაღის და სომხეთიდან ლტოლვილების პრობლემები. ბევრ გამოსვლაში მწვავედ გაკრიტიკეს სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიის პოზიცია ამ საკითხებში სრულიად ნათელია: რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტი, ჩვენი ფედერაციის შევსება ახალი მინაარსით, რამაც უნდა უზრუნველყოს ყოველი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქისა და მხარის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მოქალაქეთა და ხალხთა თანასწორი უფლებები. ამავე დროს პარტია მტკიცედ ილაშქრებს სეპარატიზმის წინააღმდეგ, რაგინდ დახვეწილი ლოზუნგებითა და „ციური მანანის“ დაპირებებითაც უნდა იჩქმალებოდეს ისინი.

შეეხო რა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის პრობლემებს, ა. ნ. გირენკომ აღნიშნა, რომ უკანონობა და ძალადობა სერიოზული დაბრკოლება გახდა შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის გზაზე. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილებაში „მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში შექმნილი ვითარების ნორმალიზაციის ღონისძიებათა შესახებ“ გარკვეულად არის ნათქვამი, რომ შეუწყნარებელია აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების, მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, რომ ყველა საკითხი, რომლებიც მთიან ყარაბაღს ეხება, აუცილებლად უნდა გადაწყდეს ოლქში მცხოვრები ყველა ადამიანის ინტერესების გათვალისწინებით.

თათბირზე გამოვიდა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ხ. ვეზიროვი.

ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲗᲘᲗᲝᲛᲝᲣᲚᲘ ჩვენთაგან, როგორც მომხმარებელი, ხშირად გაწყდებით ასეთ შემთხვევებს: მაღაზიაში გასაყიდად გამოტანილი და ბაღლი ხარისხის, ისიც წონაკაკლები დაფასოების კვების პროდუქტები, ცუდად შეკერილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი; საზოგადოებრივი კვების საწარმოებში დარღვეულია კერძების დამზადების ტექნოლოგია, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში დროულად და ხარისხიანად არ სრულდება შეკვეთები და ა. შ. ამასთან დაბალი მომსახურების კულტურა, უხეშად ირღვევა მომსახურების წესები და არცთუ იშვითად აბუჩად იგდებენ მომხმარებელს.

ჩვენს ქვეყანაში ბოლო პერიოდამდე გაბატონებული იყო შეხედულება, რომ სოციალიზმის დროს სახელმწიფო იცავს პიროვნებას, მის ყოველგვარ ინტერესს. ხომ არსებობს მთელი რიგი სამსახურები (სახელმწიფოებრივი, უწყებრივი და სხვა), რომელთაც უშუალოდ ევალებათ წესრიგი ნაკეთობის გამოშვების, უხარისხო საქონლის სავაჭრო ქსელში შეღწევის, ვაჭრობისა და მომსახურების წესების დარღვევების აღკვეთის?.. ფაქტობრივად მრეწველობაც, ვაჭრობაც და საყოფაცხოვრებო მომსახურებაც მეტნაკლებად დაცულია ზემდგომი ინსტანციების მიერ, ხოლო მომხმარებელი (ყიდველი) დაუცველი რჩება. მომხმარებელთა ინტერესების დაცვა კი აუცილებელია სოციალისტურ ქვეყანაში.

საქმე ის არის, რომ აშშ-ში და დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში ქარგა ხანია დაიწყო მოძრაობა მომხმარებელთა უფლებების დასაცავად (კონსიუმერიზმი) და დღეისათვის ამ ხაზით გარკვეული გამოცდილებაც დაგროვდა.

აღნიშნული მოძრაობა აშშ-ში დაიწყო 20-იან წლებში და 1935 წელს ამ ქვეყანაში შეიქმნა პირველად მომხმარებელთა საერთეროვნული კავშირი. ამჟამად როგორც კაპიტალისტურ, ისე სოციალისტურ ქვეყნებშიც მოქმედებენ მომხმარებელთა კავშირები, ასოციაციები, ფედერაციები, (თვლიან 80 ქვეყანას), რომლებმაც მნიშვნელოვან შედეგს მიაღწიეს. ქვეყნის უდიდესი ნაწილი გაერთიანებულია მომხმარებელთა კავშირების საერთაშორისო ორგანიზაციაში. მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის საზოგადოებრივმა მოძრაობამ მიიღო ფართო საერთაშორისო აღიარება. მომხმარებელთა კავშირების საერთაშორისო ორგანიზაციამ (შტაბ-ბინა აქვს ჰააგაში) მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან და „იუნესკოსთან“ არსებული საკონსულტაციო ორგანოს სტატუსი.

სოციალისტურ ქვეყნებში მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესებისათვის მოძრაობა, რომელიც დაიწყო 60-იან წლებში, წარმატებით მიმდინარეობს უნგრეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, კუბაში, ჩინეთსა და იუგოსლავიაში. მომხმარებელთა სრულიად პოლონეთის ფედერაციას მხარს უჭერენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია, სახელმწიფო ორგანოები. მისი თავმჯდომარე სეიმის დეპუტატია. მომხმარებელთა სრულიად უნგრეთის კავშირი, რომელიც შექმნილია მთავრობის დადგენილებით, შედის სახალხო ფრონტის შემადგენლობაში.

სსრ კავშირში ანალოგიური მოძრაობა დაიწყო 1988 წლის დამდეგს, როდესაც საკავშირო პროფსაბჭოს, გაზეთების „ნედელიას“ და „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიას“ ინიციატივით შეიქმნა მომხმარებელთა სრულიად საკავშირო კლუბის საზოგადოებრივი საბჭო. საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ მეცნიერები, წარმოების მოწინავეები, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენელები. მომხმარებელთა სრულიად საკავშირო კლუბი მიწვეულია სოციალისტური ქვეყნების მომხმარებელთა ორგანიზაციების პირველი კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის თებერვალში საერთო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა სსრ კავშირის კანონის პროექტი საქონლის ხარისხისა და მომხმარებელთა უფლებათა დაცვის შესახებ. შექმნილია და შექმნის სტადიაშია მომხმარებელთა კავშირები ბელორუსიაში, ესტონეთში, ლიტვაში, ქალაქებში მოსკოვში, ლენინგრადში, ლვოვში და ა. შ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის მოძრაობას თითოეულ ქვეყანაში ახასიათებს გარკვეული თავისებურებები, მაგრამ იგი უმთავრესად მიზნად ისახავს შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას: საზოგადოებრივი შეხედულებების შესწავლა საქონლისა და მომსახურების სამომხმარებლო თვისებების, მათი ფასებისა და ტარიფების შესახებ; საქონლისა და მომსახურების დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარება; სახალხო მოხმარების საქონლის ბაზრის შესწავლა და მყიდველთა (მომხმარებელთა) უზრუნველყოფა ობიექტური ინფორმაციით საქონლის (მომსახურების) ასორტიმენტისა და ხარისხის შესახებ; მყიდველებისათვის საქონელმცოდნეობრივი, იურიდიული და სხვა სახის კონსულტაციების მიცემა; ვაჭრობისა და მოხმარების კულტურის პროპაგანდისათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენება; დაბალი ხარისხის საქონლის ანტირეკლამა.

მეტწილ ქვეყნებში მომხმარებელთა კავშირები (გაერთიანებები) წარმოადგენენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და დამოუკიდებელნი არიან მთავრობის ორგანოებისაგან. როგორც წესი, ისინი მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საქმეში მჭიდროდ თანამშრომლობენ პროფკავშირებთან, სხვადასხვა საზოგადოებრივ და საქველმოქმედო ორგანიზაციებთან. ფრიად დიდია მათი გავლენა მომხმარებელთა უფლებების საკითხებში მრეწველობისა და ვაჭრობის კომპანიების საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობაზე, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა იაპონია, აშშ, საფრანგეთი და სხვ.

მომხმარებელთა ორგანიზაციების ბიუჯეტი ყალიბდება საწევრო შესატანიდან, პროფკავშირების, საზოგადოებრივი და საქველმოქმედო ფონდების ფინანსური მხარდაჭერისა და კერძო პირების შეწირულობებიდან, ბევრ ქვეყანაში აგრეთვე სახელმწიფო სუფსიდიებიდან. ამ ორგანიზაციების ბიუჯეტში მნიშვნელოვანი წილი უკავია საკუთარ საგამომცემლო საქმიანობის. მაგალითად, აშშ-ში მომხმარებელთა ეროვნული კავშირის ბიუჯეტი ყალიბდება უმთავრესად სამომილოონიანი ჟურნალის „კონსიუმერ რიპორტ“ (რჩევები მომხმარებელს) მოგების ხარჯზე.

მომხმარებელთა უმეტეს ეროვნულ ორგანიზაციას თავისი საქმიანობის განსახორციელებლად აქვს სოლიდური მატერიალური ბაზა. მისი საფუძველია საკვლევი ლაბორატორიების ფართო ქსელი, სადაც ტარდება საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტისა და ხარისხის დამოუკიდებელი ექსპერტიზა, მათი შესაბამისობა ფასთან და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის სამომხმარებლო მოთხოვნებთან, აქვს აგრეთვე სტატიბა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომელთა მეშვეობით შემოწმების შედეგებს აცნობებენ მომხმარებელთა ფართო წრეებს. საექსპერტო გამოკვლევები საკმაოდ ხშირად ტარდება უმაღლესი სასწავლებლების და სხვა დამოუკიდებელი ორგანიზაციების ბაზაზე. მომხმარებელთა ორგანიზაციების მუშაობაში ექსპერტებად ფართოდ იწვევენ სხვადასხვა სპეციალისტებს (ეკონომისტებს, ინჟინრებს, სოციოლოგებს, იურისტებს და ა. შ.), რომლებიც სარგებლობენ სათანადო ავტორიტეტით არა მარტო ამა თუ იმ ქვეყანაში, არამედ მთელს მსოფლიოშიც.

მართალია, დიდი ხანი არ არის, რაც შეიქმნა მომხმარებელთა სრულიად საკავშირო კლუბი, მაგრამ მან გარკვეული მუშაობა გასწია. უწინარეს ყოვლისა, გაიშალა მუშაობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის ბაზით, განახორციელა საქონლისა და მომსახურების ხარისხის არაპირდაპირი ექსპერტიზა, შეისწავლა მოსახლეობის შეხედულება ზოგიერთი საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის ორგანიზაციის თაობაზე და სხვ. კლუბის მონაწილეობით მხოლოდ მოსკოვში რამდენიმეჯერ მოეწყო წუნისმკეთებელთა სასამართლო პროცესი. დაკმაყოფილდა მომხმარებელთა ყველა სასამართლო სარჩელი, რომლებსაც კლუბმა დაუჭირა მხარი.

ჩვენს რესპუბლიკაში მომხმარებელთა საზოგადოებების (ლუბების, კავშირების) შექმნის ერთ-ერთ ინიციატორად გამოვიდა ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივი (იხ. გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მიმდინარე წლის 15 მარტის ნომერი). ამჟამად შემუშავებულია „ტბილისის ორჯონიკიძის რაიონის მომხმარებელთა კავშირის წესდება და გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები ამ რაიონში (საკითხი დაისვა სახალხო დეპუტატთა XX მოწვევის რაიონული საბჭოს X სესიაზე) და საერთოდ თბილისში მომხმარებელთა ორგანიზაციების შესაქმნელად.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მომხმარებელთა კავშირების შექმნა დიდად შეუწყობს ხელს სახალხო მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილებას, და საბოლოოდ მათი ინტერესების რეალურად დაცვას.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲣᲒᲚᲐᲫᲔ.

სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი, დოცენტი.

ᲥᲐᲠᲗᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ: ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲡᲣᲤᲔᲕᲓᲔᲡ ᲨᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲨᲘ!

ᲓᲔᲓᲔᲑᲝ!

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ერის ცხოვრების სისხლით ნაწერი მატიანე გვამცნობს ფაქტებს საქართველოს დარბევა-აწოკებისას... ახლაც მწარე ბოლმით გვავსებს იმის წარმოდგენა, რომ ბარბაროს თავდამსხმელთ კალოებზე ულაწიათ უმწეო ბავშვები. მაგრამ ეს იყო საუკუნეების უკან, თავდამსხმელნი კი დაუძინებელი, სისხლმოწყურებული უცხო ტომნი — მტრები საქართველოსი.

ჩვენს განათლებულ საუკუნეში ჩვენთვის წარმოუდგენელი იყო და ლამის ლეგენდად იქცა ის სისასტიკე, მოულოდნელად რომ თავი გაგვახსენა...

არა, ამჯერად არც სპარსეთი შემოგვესევა, არც ოსმალეთი, არც სხვა, გარეშე მტერი — მტრად ჩვენს ჭერქვეშ გაზრდილი და შვილობილად მიჩნეული გვექცა — ასეთი მონდომებით რომ ცდილობს დაფლითოს, დაჩეხოს მისი შემწე და მფარველი დედობილის სხეული.

დღეს ხალხთა ძმობისა და მეგობრობის თბილ კერას—საქართველოს, რომელსაც მთელი მისი არსებობის მანძილზე ყველა დევნილი და შეურაცხყოფილი — ვისაც საკუთარი სამშობლოს ჭერქვეშ არ გაეძლებინებოდა, ანდა აქაური მშვენება და ქართველთა სტუმართმოყვარე, კაცთმოყვარე, ჩაგრულთა მოსარჩლე ბუნება იზიდავდა, ვისაც ჭირი და ლხინი ჩვენთან გაუყვია, ვინაც საქართველოს მადლიან კალთებზე დაზრდილ-დავაჟკაცებულა და გამრავლებულ-გაძლიერებულა, დღეს სატანას შთაგონებით მტრად ქცევია.

სხვა რა შეიძლება ეწოდოს ამ მინა-წყალზე აღზრდილ ბოროტ სულს, რომელიც თოთო ბავშვს აკვანში გვიკლავს? „ადამონ ნიხასი“ საქართველოსთვის მართლაც უცხო სხეულია, მაგრამ სხვები?

ნუთუ ერთმა მუჭა ვითომდა ოსეთის „განთავისუფლებისათვის“ მებრძოლებმა შესძლეს წაშალათ საუკუნოებით ნამტკიცები მეგობრობა, დაეწყვიტათ ძმობისა და ნათესაობის კავშირები?

დიდმა გულისტკივილმა, აღშფოთებამ და ჩვენი და თქვენი შვილების — ოსთა და ქართველთა შერეული სისხლის ღვრამ სულით ხორცამდე შეგვძრა ქართველი დედები (არ იფიქროთ, სასაკვდილოდ ან ოსი გვემეტებოდეს — ისიც ხომ დედა-საქართველოს კალთაშია გამოზრდილი!) და მოგმართავთ თქვენ, ოს დედებს, რატომ არ შეშფოთდებით ჩვენსავით სისხლით-ხორცადმე! შემოუძახეთ, უკიჟინეთ, გონს მოიყვანეთ თქვენი შვილები, დაგმეთ ბოროტმოქმედთა წრესგადასული საქციელი. ნუთუ თქვენი ღმერთი და თქვენი დედობრივი გული კაცთა კვლას ურიგდება?

დღეს ჩვენი ვალია დედობრივმა გრძნობამ გაგვაერთიანოს და აღვსდგეთ ქართველი და ოსი დედები, ჩვენი შვილებისა და ჩვენი ნათესაური სისხლის დასაცავად.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ
ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲪᲮᲠᲔᲑᲐ

ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲐᲬᲛᲘᲜᲓᲐ, 8 იანვარი. (საკადესი). არ ცხრება დაძაბულობა მთიან ყარაბაღში. ოლქის მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში, მათ შორის, სტეფანაკერტის გარეუბნებში - ღამღამობით გრძელდება სროლა. ქვას და ტყვიას უშენენ გზაზე მარტო მიმავალ ავტომანქანებს. გახშირდა მძღოლთა ხელში ჩაგდების შემთხვევები.

მკვეთრად გაიზარდა დივერსიების რიცხვი საკომუნიკაციო ნაგებობებზე, სახალხო-სამეურნეო ობიექტებში. 4 იანვარს ააფეთქეს რკინაბეტონის ხიდი საავტომობილო გზაზე, რომელიც აერთებს მთიანი ყარაბაღის მეზობელ ქალაქ აგდამსა და ავტონომიური ოლქის ქალაქ ასკერანს. ხოლო 7 იანვარს ღღის განმავლობაში ორჯერ დაუშინეს ავტომატური იარაღის ცეცხლი მთიანი ყარაბაღის ასკერანის რაიონის სოფელ ხოჯალის მახლობლად მდებარე რკინიგზის ხიდის დაცვას. შიგნაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურეებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს. მსხვერპლი არ ყოფილა. ამავე ღღეს მძლავრი აფეთქება გაისმა მეორე რკინიგზის ხიდზე, აგდამიდან ხუთ კილომეტრზე. დაზიანებულია რკინიგზის ვაკისი, ხიდის ბურჯები. ავტონომიურ ოლქში შეწყდა სახალხო-სამეურნეო საქონლით დატვირთული შემადგენლობების მოძრაობა.

შექმნილ პირობებში მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის განსაკუთრებული მმართველობის კომიტეტი და საკავშირო ოპერატიული შტაბი, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით ჩამოყალიბდა 1989 წლის 4 დეკემბერს, საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ, რათა სამხედრო და სამოქალაქო ავიაციის მეშვეობით მოამარაგონ ოლქი სურსათ-სანოვაგით, მედიკამენტებით, უპირველესი საჭიროების საქონლით.

ᲝᲜᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡᲚᲘ ᲛᲫᲘᲡᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლამ სასიკეთოდ იმოქმედა ოზურგეთის ძაფსაღებ-საძახავი ფაბრიკის კოლექტივის საქმიანობაზე. ფაბრიკის მშრომელები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ თავიანთი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და ასორტიმენტის განახლებას.

ოზურგეთელი მქსოველების ასეთმა გარჯამ სათანადო ნაყოფიც გამოიღო — მარტო შარშანდელი 11 თვის მანძილზე (წლის შედეგებს ახლა აჯამებენ) 18 მილიონი მანეთის ნაწარმი გამოუშვეს, რაც 2 მილიონით აჭარბებს წინა წლის შედეგებს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲘᲡ: ოზურგეთის ძაფსაღებ-საძახავი ფაბრიკის ერთ-ერთი საწარმოო უბანი; საგრეხი სამაქროს საორთქლებელი განყოფილების მუშა მარგალიტა ძიძიგური.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲕᲘᲧᲝᲗ ᲘᲛᲔᲓᲐᲓ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ

ᲑᲐᲓᲐᲔᲑᲐ დაძაბული, უძილო ღამეები ერთმანეთს. ფიქრი, მწარე ფიქრი აფორიაქებს სულს...

ნუთუ ყველაფერი, რისთვისაც მთელი ცხოვრება ერთად ვშრომობდით, ვწვალობდით, ვხარობდით, მარტოოდენ მოჩვენება, მიჩაჟი იყო?!

თქვენ დაგტრიალებთ ჩემი ფიქრი ჩემო ხალხო — ოსებო და ქართველებო, თქვენ მოგმართავთ: რას ვშვრებით, რას ვედავებით ერთმანეთს, რა გვაქვს გასაყოფი?

ნუთუ სისხლის გარეშე არ შეიძლება ჩვენი უთანხმოებანი (თუ კი გვქონია) მოვაგვაროთ?

როგორ მოხდა ჩვენ შორის უნდობლობის თესლის გაღივება?

გული უსიამოდ მეკუშშებოდა, მაინც იმედი მქონდა: იქნებ ჩაცხრეს ვნებები, ბოლოს და ბოლოს მეცნიერებმა უნდა იდავონ, გასარკვევი გაარკვიონ, გარკვეულს რაღა მტკიცება ჭირდება-მეთქი.

ვდუმდი, მაგრამ, მერწმუნეთ, ჩემი დუმილი ტკივილი იყო, უსაშველო ტკივილი, რომელიც ახლაც გულზე მარწუხივით მიჭერს და ორტოტად მადენს სისხლს. ორტოტად, რადგან მე, ოსი, სასიცოცხლო ძაფებით ვარ დაკავშირებული ყოველივე ქართულთან.

ქართულ სოფელში დაბადებულ-გაზრდილმა, იაკობ გოგებაშვილის „დედაენით“ დავწყე გარესამყაროს შეცნობა. ამ ენაზე ვეზიარე რუსთაველის, გურამიშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის ღვთიურ აზრს. ხოლო როცა ცხინვალში სასწავლებლად ჩამოსულმა კოსტა ხეთაგათის, თემირბოლათ მამსირათის, არსენ ქოცოითის, სეკა და ცომაყ გადაათბეის, ოსური ლიტერატურის სხვა ბრიგადა ოსეთიდან ჩამოვიდა, ოსურ ენაზე ლაპარაკობენ ეს ბიჭები, ეს ბიჭები ჩემ ენაზე ლაპარაკობენ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ —90

ᲡᲣᲚ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘᲐ, ᲡᲣᲚ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘᲐ!

— „**რა** ტკბილი იყო შუქელვარა დილა პატარძეულში! ოქროვანი ხმით მოწკრიალე გაზაფხულის დღეები, როცა ჩვენც ნუშებივით ვყვაოდით, როცა ფეხქვეშ მიწა გრიალებდა, გული გვედგა ოქროს ბურთისა და თავს ოქროს წვიმა გვაწვიმდა“... ასე სიყვარულით, სინანულით, სათუთი განცდით წერდა გიორგი ლეონიძე თავისი უმშვენიერესი წიგნის „ნატვრის ხის“ თავფურცელს:

— „იქ, ივრის წნორებს ვუკითხავდი ჩემს პირველ ლექსებს!

— იქ რიყიანი და ხმიანი იორი მასწავლიდა ქართული ლექსის მუსიკას!

— ჩემი მეორე მშობელი იორია!

ახლაც ისე ვერ შევხედავ იორს, რომ გული არ ამიჩქროლდეს! ისევ ჩემი სამწყურვალოა იორი!“

რა დიდი გრძნობის დამტევია პოტის სულის თრთოლვით დაწერილი ეს სტრიქონებიც, რომლითაც მიმართავს იგი „ივრის ღამეს“: შენ დამაწრნე იორო, მაჩქეფე თავზე მირონი, დალაგდნენ ლექსის ჯიქნებად ეგ შენი სანაპირონი“.

იორი იყო მგოსნის პირველი დამტირებელიც.

პატარძეული. პოეტის სახლის ფანჯარასთან მრგვალი მაგიდა დგას. ზედ სუფრაა გადაფარებული, რომელზეც ქართველი მწერლებია გამოსახული.

— გოგლას სიკვდილი რომ შევიტყვეთ, სოფლის ქალებმა აქ მოვიყარეთ თავი და ამ სუფრაზე დავიტირეთ, — იგონებდა 1966 წლის შემოდგომაზე პატარძეულელი მოხუცი ქალი ანა ოქროსცვარიძე.

1966 წლის 1 სექტემბერს პატარძეულის საშუალო სკოლას არსებობის 100 წელი შეუსრულდა. სკოლას დიდი ზეიმით უნდა აღენიშნა ეს სასიხარულო დღესასწაული. უსაუბრიათ კიდეც პოეტთან ამის შესახებ. მას ხელთ ჰქონია მასალები ამ სკოლის ისტორიაზე. აღუთქვამს დაპირება, რომ მონაწილეობას მიიღებდა საზეიმო ვითარებაში, გააცნობდა ამ მასალებს პატარძეულის მოსწავლეებს ახალგაზრდობას.

თანასოფლელმა კატო გულიაშვილმა მოთქმით დაიტირა პოეტი: „ჩვენო სისხლო და ხორცო, ჩვენო სიამაყევ, მოგვიკვდი, აღარა გვყვეხარ, შვილო?! ყველას დამტირებელო, ყველას ჭირისუფალო, ყველას დამხმარევ, ეს რა უბედურებას მოვესწარით, შენ უნდა გეცოცხლა, ჩვენო ლაზათო!“.

— „ო, როგორ მიყვარს მუხლადი, ბედაური, მაძღარი სიტყვა!“ — წერს მგოსანი და იმასაც დასძენს, რომ „იმ მოოქროვილ დღეთა ყვავილსურნელებასთან“ ერთად შეიცნო და შეიგრძნო ქართული სიტყვის ძალა და მადლი... იქ, პურის თონესთან, კევრზე, გუთნის საყვარის უღელზე, მინდორსა და ვენახში, სოფლის შარაზე, მთელი გულისყურით ისმენდა და კრეფდა იმ სიტყვებს, ასე უზადოდ, სულისჩამწვდომად რომ ხმიანობენ მის უბრწყინვალეს მოთხრობებში და პოეზიის წიგნში.

თუ რა ღრმად ჩარჩა პოეტის ხსოვნაში სოფლის უბეში ნანახი და განცდილი, ამას მკაფიოდ გვაგრძნობინებს მისივე, ესოდენ ტკივილით დაწერილი სტრიქონები — „და ისევ წრიალებს ჩემს ფიქრებში ნარსულზე პირაკვამლეული, ჩანაცური, მწირი ჩორეხი, სამშობლოს დარდით მოავადე. ვერ მოესწრო ნასურვილარის გაცხადება, ვერ იხილა სამშობლო გაცისკროვნებული... და მე მიყვარს მისი სულის ჭაღარა ყვავილი“.

აგერ დალაქი ბუნებულა ფარსმანიშვილი, მეტად ჩვილი, გულნაზუქი, ძვირფასენებელი, მეგულკეთილე, გამგებელი, შესმენილი კაცი, რომლის რწმენის სიტყვებია:

—„სიწმინდის დარზე ვიდგეთ! —თავი და თავი გულის მოსავალია! ჯერ გულის მოსავალი მოირეწე და მოკრიფე, მერე მიწისა! სივაჟის მოგებული არაფერია სინდისით მოგებულთან!

აი ღვინჯუაც — „სუფრის თამადა, ენად კარგი, განთქმული გლეხურის მჭევრმეტყველებით“.

— თამადამ სიტყვა ჩასო მარგალიტში! პირიდან ოქრო სცვიოდა, სიტყვით ზღვა გადაასველა, ზღვაზე ხიდი გადო, ცაზე კიბე მიიდგა, მზესთან ადიოდ-ჩადიოდა, მართლაც, სწორუპოვარი თამადა იყო, უტოლუმბაშესი! სუფრაზე ვარდმანანა წვიმდა... სამუდამოდ შეიყვარა ეს ადამიანები მომავალი პოეტის გულმა. სოფელი იქცა მის ცნობიერებაში ხვავის, სილამაზის, სიწმინდის სიმბოლოდ. ამატომ იზიდავს ასე ძალუმად და მიმართავს მოხიბლული ფიროსმანს, — „თანამგზავრებად მოგყვებიან შენი ფერები, სხივნარა დილა წინწილებით, ვარდის ალმასი, სავსე ქართული საწნახელი, დაუბერები თავთუხის ყანა, დურაჯი და ჭრელი კალმახი. ცისარტყელაზე ჩამოეშვა შენი ბავშვობა, გულში ბულბული დაიბუდებს, სულში — ბადახში, აქ რას შეგმატებს კინოტოების ტოლუმბაშობა, ...ყველგან საფლავის კარები გაიღო.“ — ასე აღიბეჭდა პირველი მსოფლიო ომი პოეტის მეხსიერებაში.

აქვე მინდა გავიხსენო პოეტის ერთი ნაამბობი:

— ჭაბუკობისას შეყვარებული ვიყავი ერთ გოგონაზე. ზაფხულში არდადეგების დროს საშინლად მომწყურდა მისი ნახვა. ჩამოველ თბილისში, მივედი ნაცნობ ბინაზე, მაგრამ მეზობლებმა მაცნობეს, აქედან გადავიდნენო, მისამართი კი ვერ მითხრეს, მარტო დავეხეტებოდი მოწყენილი თბილისის ქუჩებში...

შესაძლოა პოეტის ამ განცდების, იმ პირველი გატაცების გამოძახილი იყოს ეს ერთი პატარა, მაგრამ ფორმით დაწერილი ლექსიც, რომელიც 1914 წლის „სახალხო გაზეთშია“ (№30) გამოქვეყნებული.

— სარცარი იყო ყველასათვის და ჩემთვისაც, მოთხრობების წერა რომ დაიწყო. როგორც მისი ლექსები, მოთხრობებიც გამორჩეულია, გოგლასებურია. ნიჭმა არც მოთხრობებში უმტყუნა მას. თუმცა ასპარეზი მაინც პოეზიაა — მაღალხმიანი, სავსე ლექსი... გოგლას ბევრჯერ წაუკითხავს ჩემთვის დაუბეჭდავი ლექსი, აინტერესებდა რა შთაბეჭდილებას მოახდენდა. ალფრთოვანებით ვიტყოდი ხოლმე: — რას მეკითხები, კურცხალი მომდის, ვეღარ ხედავ?

გიორგი ლეონიძის იშვიათი ლექსის მუსიკამ დაანერინა კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძეს შესანიშნავი რომანსი „ნინა ჭაჭავაძეს“, ოთარ თაქთაქიშვილს — „კესანე“, არჩილ ჩიმაკაძეს — კანტატა „ქართლის გული“, რევაზ ლაღიძეს — „მაგონდება ჩუქურთმაში ყვავილი“, ალექსი მაჭავარიანს — „არ დაიდარდო, დედაო“. ქართველმა მაყურებელმა დიდი ხანია შეიყვარა ანდრია ბალანჩივაძის ბალეტი „მთების გული“, რომლის ლიბრეტო გ. ლეონიძეს ეკუთვნის. სპექტაკლის წარმატება ძალიან ახარებდა გოგლას და ხუმრობით შენიშნავდა ხოლმე —„ქართული ბალეტის პაპა ვარო“ — ამას სიამაყით იგონებს მხცოვანი კომპოზიტორი.

— პირველად მწერალთა კავშირის სასახლეში ვნახე ჩემთვის სიყრმიდანვე საყვარელი პოეტი, გიორგი ლეონიძე ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე, დამამახსოვრდა მისი შთამბეჭდავი გამოსვლა, აი, ქართველი რაბლე, ვიფიქრე მაშინ სიამოვნებით იგონებდა ოთარ თაქთაქიშვილი და ეს სიტყვებიც დაამყოლა:

— მე შევსწრებივარ, როგორ აფასებენ გიორგი ლეონიძეს სხვა რესპუბლიკის პოეტები, სადაც კი ფეხი დამიდგამს, ყველგან მიგრძვნია, რომ მას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს და არა მარტო სცნობენ მსოფლიოს პოეტები, იგი ბევრი მათგანისათვის რჩეულია.

„ქართული სიტყვის მევენახე“, ქართველი ხალხის უცვლელი და საყვარელი, სასურველი მეკვლეც იყო. ახლაც ყამდაუძლეველობით მიულოცავს პოეტის ომახიანი ლექსი ბედნიერი ახალი წლის შემობრძანებას თავის საყვარელ ხალხს და უსურვებს მის სალოცავ მამულს: „ბედნიერება, მშვიდობა ქვეყნად, სულ დამცხრალიყვეს ქარი კაპასი! ცანი ცათანი ხანძრებს არ ეხანთ, — ვთქვა სადღეგრძელო. და დავდგა თასი!“.

ᲪᲘᲣᲠᲘ ᲮᲔᲗᲔᲠᲔᲚᲘ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲜᲔᲑᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ

ᲩᲘᲜᲣᲠᲘ, იაპონური, ებრაული, ბასკური, ესპერანტო — ამ ენებს სწავლობენ თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები.

— ჯერჯერობით ენებს მხოლოდ საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე ასწავლიან, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ინსტიტუტის პროორექტორმა სამეცნიერო ნაწილში, დოცენტმა გურამ ლებანიძემ — ამასთან ისწავლება არა მარტო იმ ქვეყნის ენების გრამატიკა და ზეპირი მეტყველება, არამედ ისტორიაც, რომლის ენასაც სტუდენტები ეუფლებიან. შევთანხმდითო, რომ პედაგოგიურ სამუშაოზე მოვიწვიოთ ინსტიტუტში სპეციალისტები ისრაელიდან და იაპონიიდან. ჩინურს კი ასწავლის წარმოშობით ჩინელი ლიუ ყანდარელი. ჩვენ აგრეთვე ვაპირებთ ისრაელში სტაჟირებაზე გავგზავნოთ ადგილობრივი სპეციალისტები. სხვათა შორის, ჩვენი ინსტიტუტი მსოფლიოში ერთადერთია, ისრაელის უმაღლესი სასწავლებლების გამოკლებით, რომელიც ამზადებს ებრაული ენის სპეციალისტებს. იგივე შეიძლება ითქვას ბასკურ ენაზეც.

— **საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტს კურსდამთავრებულებს ენიჭებათ თუ არა რაიმე კვალიფიკაცია?**

— რა თქმა უნდა. სწავლების სამი წლის შემდეგ ისინი მიიღებენ თარჯიმნის დიპლომს სწავლების უფლებით.

— **ყველა სტუდენტს შეუძლია ამ ფაკულტეტზე შესვლა თუ არსებობს შერჩევის სისტემა?**

— შერჩევა ხდება და საკმაოდ მკაცრიც, — თქვა ფაკულტეტის დეკანმა როსტომ საირშვილმა,— არ კმარა მარტო ენის შესწავლის სურვილი. მთავარი პირობაა პრეტენდენტს კარგი აკადემიური წარმატება ჰქონდეს ძირითად დისციპლინებში. სხვათა შორის, გამონაკლისის სახით სტუდენტებს ვიღებთ რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდანაც.

— **რამდენადაც ვიცი, საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი მხოლოდ ენებს ასწავლის.**

— დიახ, ახლა აქ ამზადებენ მხატვრული თარგმანის სპეციალისტებს, თეოლოგებს. მომავალი სასწავლო წლიდან გაიხსნება მენეჯერთა კურსებიც. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის ეს განსაკუთრებით აქტუალურია — მათ ხომ უცხო ენები იციან, ეს კი ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა მენეჯერებისადმი. (**ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ**).

ᲣᲙᲡᲘᲤᲝᲠᲓᲘ

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘ ᲠᲘᲣᲜᲓᲘᲡᲐ

9 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲙᲐᲛᲐᲗᲘ „ᲛᲠᲒᲕᲐᲚ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲒᲐᲒᲠᲫᲚᲓᲔᲑᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. „მრგვალ მაგიდასთან“ სხდომის მეექვსე რაუნდი, რომელშიც 12 წამყვანი პარტიისა და პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლები მონაწილეობენ, უშედეგოდ დამთავრდა.

მის მუშაობაში აზრთა სხვადასხვაობისა და კრიზისული სიტუაციის შექმნის მიზეზი გახდა ეროვნული უშიშროების უწყების დათხოვნის შესახებ მთავრობის წარმომადგენლის პ. კოხის მოხსენების განხილვა. მან აღნიშნა, რომ 85 ათასზე მეტი თანამშრომლიდან უწყების შტატში დარჩა 60 ათასამდე. ნავარაუდევია პერსონალის შემდგომი თანამიმდევრული შემცირება. უწყების განკარგულებაში არსებული იარაღი ამ თვის ბოლომდე გადაეცემა ეროვნული თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს.

პ. კოხმა აგრეთვე განაცხადა, რომ უწყების 216 რაიონული განყოფილების შენობები განთავისუფლებულია და პრაქტიკულად ყველა მათგანს ახალი პატრონი ჰყავს. უწყების კუთვნილი დასასვენებელი სახლები პროფკავშირებს გადაეცათ.

ოპოზიციური პარტიებისა და ჯგუფების წარმომადგენლებმა მოითხოვეს უფრო დეტალური ინფორმაცია ყოფილი უშიშროების უწყების რიცხობრივი შემადგენლობის, სამეურნეო სამსახურების და მის განკარგულებაში არსებული იარაღის გადაცემის შესახებ. მათ უნდობლობა გამოუცხადეს მთავრობის წარმომადგენელს, რამეთუ იგი არასაკმარისად კომპეტენტურად უპასუხებდა კითხვებს.

ოპოზიციის წარმომადგენელმა ვ. შნურმა, ულტიმატუმური ფორმით მოითხოვა, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. მოდროვი შინაგან საქმეთა მინისტრთან და გენერალ-პროკურორთან ერთად, ორი საათის შემდეგ გამოცხადებულყვნენ სხდომაზე და მოეხსენებინათ ინფორმაცია ქვეყანაში საშინაო უშიშროების შესახებ. ეს აშკარად არარეალური იყო, ვინაიდან მთავრობის მეთაური ამ დროს სოფიაში მიეშგზავრებოდა.

საბოლოოდ მიიღეს კომპრომისული გადაწყვეტილება — ვადამდე დაემთავრებინათ ახლანდელი რაუნდი და „კამათი განაგრძონ „მრგვალი მაგიდის“ მომდევნო სხდომაზე.

● ᲐᲨᲨ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ

ᲡᲐᲜ-ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲝ. დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყოველთვიურად ცდილობენ ტენდენციურად განმარტონ სსრ კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარე რთული, ყოველისმომცველი გარდაქმნები, ასადგენენ მათ „მარქსიზმის დამარცხებად“ და იმის დასტურად, რომ ერთადერთ სწორ გზას წარმოადგენს განვითარების კაპიტალისტური გზა.

ამის თაობაზე გაზეთ „სან-ხოსე მერკური ნიუსის“ კორესპონდენტისადმი ინტერვიუში თავისი აზრები გამოთქვა ერთ-ერთმა ცნობილმა ამერიკელმა ისტორიკოსმა მეცნიერმა, კალიფორნიის უნივერსიტეტის თანამშრომელმა ჰერბერტ აპტეკერმა.

„ილაპარაკო კომუნიზმის აღსასრულზე, — თქვა მან, — როგორც ამას მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უმრავლესობა შვრება, — აბსურდულია. თანასწორუფლებიანი, ეფექტურად დემოკრატიული და სამართლიანი საზოგადოების აშენების იდეა, რაც კომუნიზმის ფუძემდებელი მიზანია, უკვდავია“. ამავე მიზანს ისახავს ფართოდ გაჩალებული გარდაქმნაც, აღნიშნავს მეცნიერი, რომელიც მისი თქმით, სულაც არ არის რაღაც „განდგომა კომუნიზმისაგან“. პირიქით, იგი იწვევს საზოგადოების „განწმენდასა და განახლებას“ მსოფლიოში მიმდინარე „კოლოსალური სამეცნიერო და ტექნოლოგიური რევოლუციების“ შესაბამისად, გვიხსნავს „უსაზღვრო შესაძლებლობებს მწარმოებლობის, ენერგიის, ურთიერთობისა და შემოქმედების აღმავლობისათვის“.

● ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ-ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘ

ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲜᲔᲡᲠᲘᲒᲔᲑᲚᲐᲓ

ᲓᲔᲚᲘ. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე შ. კ. სინგჰი და პაკისტანის პრემიერ-მინისტრის ბენაზირ ბჰუტოს საგანგებო დესპანი ახდულ სათარი, რომელიც აქ კვირას ჩამოვიდა. შეხვედრაზე განიხილეს ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობასთან დაკავშირებული ფართო წრის საკითხები. როგორც ინდოელი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ ბრიფინგზე განაცხადა ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, დღეს გაიმართება ა. სათარის მოლაპარაკება ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ინდერ კუმარ გუჯრალთან. მას მიიღებს აგრეთვე, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ვიშვანათ პრატაპ სინგჰი. მოელიან, რომ ა. სათარი ინდოეთის მთავრობის მეთაურს გადასცემს ბენაზირ ბჰუტოს წერილს.

ადგილობრივი მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ თვლსაჩინო დიპლომატის ვიზიტი, რომელიც ამჟამად პაკისტანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია სსრ კავშირში, უკვე შორდება ორი ქვეყნის ძალისხმევის აქტივიზაციას, რომლის მიზანია, რაც შეიძლება მალე მოგვარდის ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობა.

● ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ-ᲩᲘᲜᲔᲗᲘ

ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. პეკინში საიდუმლო პირობებში იმოგზაურა გახსული წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის თანაშემწემ საგარეო პოლიტიკის საკითხებში პერსი კრედოკმა. ამის შესახებ ცნობები მხოლოდ ახლა დაადასტურეს ბრიტანეთის ოფიციალურმა პირებმა. ჩინეთის ხელმძღვანელობასთან შეხვედრების დროს განიხილეს ჰონკონგის — ბრიტანეთის კოლონიის საკითხი, რომელიც უნდა დაექვემდებაროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონტროლს 1997 წელს.

ჰონკონგის პრობლემა ამ ბოლო დროს სერიოზულად ართულებს ლონდონსა და ბეჭინს ურთიერთობებს. კონსერვატორთა მთავრობამ გამოაცხადა, რომ ამირეს ბრიტანეთის პასპორტები მისცეს კოლონიის 225 ათას მცხოვრებს. ეს ნაბიჯი, გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსის“ აზრით, პეკინს მიაჩნია ჰონკონგზე ჩინეთის სუვერენიტეტის შერყევის ცდად მას შემდეგ, რაც იგი მის იურისდიქციაში გადავა.

ჰონკონგის პრობლემის განხილვის გარდა, წერს გაზეთი, ჰ. კრედოკის მოგზაურობა მიზნად ისახავდა პეკინში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დუგლას ჰერდის ვიზიტის მომზადებას.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

● **ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** კოლუმბიამ გამორიცხა კარიბის ზღვაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მანევრებში მონაწილეობის შესაძლებლობა, როგორც ქვეყნის პრეზიდენტის ვირხილიო ბარკოს განცხადებაშია ნათქვამი, კოლუმბიის მთავრობას არ მიუღია და არც მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო წესებში ამერიკის შეერთებული შტატების ფლოტთან ერთობლივ მანევრებში.

● **ᲢᲝᲙᲘᲝ.** ჩვეულებრივ კომპიუტერებზე 400-ჯერ უფრო სწრაფად აწარმოებს რთულ მათემატიკურ გაანგარიშებებსა და სხვა ოპერაციებს ნეიროკომპიუტერი, რომელიც იაპონიის კომპანია „ფუჯიცუმ“ შეიმუშავა. სპეციალისტთა აზრით, ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია სუპერ-ნეიროკომპიუტერების გამოგონების გზაზე, რომლებიც თავიანთი ფუნქციებით უახლოვდებიან ადამიანის ტვინის მოქმედებას.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲔᲡᲝᲓᲔᲜ ორიგინალური ფოტოატელიე, რომელსაც კალიფორნიის გზებზე შეხვდებთ, ამერიკული მეწარმეობის, საზრიანობისა და გამომგონებლობის კიდევ ერთი „ძეგლია“.

ასეთი „ფოტო-ექსპრესი“, უეჭველად, მიიზიდავს ბევრ ამერიკელს, რომლებსაც უყვართ სამახსოვრო სურათების გადაღება. ეურნალ „ი. ს. ნიუს ენდ ორლდ რიპორტის“ მონაცემებით, მარტო 1988 წელს ქვეყნის მცხოვრებლებმა 15 მილიარდჯერ გადაიღეს ფოტოსურათი, ესე იგი საშუალოდ, თითოეულმა ამერიკელმა — 68-ჯერ.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ფოტო.

ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲡᲘᲛᲞᲝᲖᲘᲣᲛᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ დამთავრდა საბჭოთა და ბერძენ მათემატიკოსთა სიმპოზიუმი, რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მოაწყო. ჩვენი მხრივ, თბილისის გარდა მოსკოველი, ლენინგრადელი, კიეველი მეცნიერები მონაწილეობდნენ. ცხრა ბერძენი მეცნიერი ჩამოვიდა ათენიდან, სოლონიკიდან, იანინიდან, ირაკლიონიდან და ხანიადან (ორი უკანასკნელი ქალაქი კუნძულ კრეტაზეა). მათ შორის იყვნენ ცნობილი სპეციალისტები თ. ბოლისი, მ. გრამატიკოპულოსი, ნ. ჰეტრიდისი, კ. სკანდალისი და სხვანი. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეებმა, აკადემიკოსმა ს. ნოვიკოვმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ბერიკაშვილმა ცოტა შრომა როდი გასწიეს შეხვედრის სათანადო სამეცნიერო დონის უზრუნველყოფისათვის.

სიმპოზიუმის თემატიკა წინასწარ არ დაუთქვამთ. იგი საკმაოდ მრავალფეროვანი გამოდგა: ფუნქციონალური ანალიზი, ტოპოლოგია, დიფერენციალური განტოლებები, დიფერენციალური გეომეტრია, მათემატიკური ლოგიკა. ამ დარგების თანამედროვე პრობლემებს მიუძღვნეს მოხსენებები საბჭოთა სწავლულებმა ს. ნოვიკოვმა, ა. ივახოვმა, ა. ოსკოლკოვმა, თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის ახალგაზრდა თანამშრომელმა ი. გუბელაძემ, ყველა ბერძენმა მეცნიერმა. უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: შეზღუდული რეგლამენტის გამო რამდენიმე ქართველმა მომხსენებელმა უარი თქვა გამოსვლაზე, თავისი დრო სტუდრებს დაუთმო, ამიტომ ყველა ბერძენმა მონაწილემ შეძლო საკუთარი შედეგების გამოტანა.

საინტერესოა, რომ სტუმართა შორის აღმოჩნდა საქართველოში დაბადებული მირონ გრამატიკოპულოსი, ამჟამად იანინის უნივერსიტეტის პროფესორი. მას დაწყებითი განათლება გაგრაში მიუღია, სადაც სამი წელი უსწავლია ქართულ სკოლაში. 1949 წელს ოჯახი სხვა ბერძნებთან ერთად ყაზახეთში გაუყვანიათ... 1967 წელს გ. გრამატიკოპულოსი ემიგრაციაში წასულა საბერძნეთში, სადაც დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში სპეციალისტი გახდა.

— 23 წელია საბჭოთა კავშირში არ ჩამოსულიარ, თბილისში კი სულაც პირველად ვარ; რომ იცოდეთ, როგორ მახსენდება მიეწყებული სიტყვები...

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲔᲑᲐᲜᲝᲕᲘᲫᲔ.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ — ზიბერტ ავქსენტის ძე **ᲑᲐᲖᲐᲚᲘᲐ;**

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ — გივი შალვას ძე **ᲙᲕᲘᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ.**

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ: ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲯᲐ

ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲪ, ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲖᲛᲘᲪ... ᲣᲤᲠᲝ ᲙᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘ

ᲐᲛ ᲘᲓᲔᲘᲐᲡ ქართველი საზოგადოებრიობა სამიოდე თვის წინათ გაეცნო — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა გიორგი თარხან-მოურავმა გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ახალი უნივერსიტეტი?!“ უმაღლესი სკოლის შეტად საინტერესო პროექტი წამოაყენა. ეს არის საერთაშორისო თავისუფალი უნივერსიტეტის დაფუძნება, სადაც სწავლება ძირითადად ინგლისურ ენაზე წარიმართება.

ეს თამამი, უალრესად საინტერესო იდეა უთუოდ დიდ ყურადღებას იმსახურებს. ამასთან ჩნდება უამრავი კითხვა, პრობლემა, ეჭვი. ერთი რამ ხომ ცხადზე უცხადესია: ვიდრე იდეის კონკრეტული რეალიზაციის გზის ძიებას შეუუდგებოდეთ, ჯერ თავად იდეა უნდა გაანალიზოთ მთელი სიგრძე-სიგანით.

ამას წინათ საქართველოს სამეცნიერო და საინფორმო საზოგადოებათა კავშირის თბილისის მეცნიერებისა და ტექნიკის სახლის და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მიერ მოწყობილ „მრგვალ მაგიდაზე“ იმსჯელეს ამ საკითხზე.

ᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ალბათ ჩემთან ერთად ბევრ სხვასაც არ დავიწყებია წლებისწინანდელი ერთი პუბლიკაცია — „ოცნებას კაცი არ მოუკლავს“. ავტორი ნოდარ დუმბაძე პიონერულ ქალაქ „მზიურის“ მშენებლობის იდეას გვთავაზობდა, თან სათაურშივე თითქოსდა მეტისმეტად თამამი ოცნებისთვის რაღაცნაირად ბოდიშობდა ქკითხველის წინაშე. თუმც, როგორც შემდგომ გაირკვა, საბოდიშო არაფერი ჰქონდა მწერალს — მისი ოცნება რეალობად იქცა.

მომეჩვენა, რომ იმ დღეს „მრგვალ მაგიდასთან“ შეკრებილთ დაახლოებით ამდაგვარი განწყობილება ჰქონდათ. სურვილი ამ ძალზე ეროვნული, მეტად მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებისა დარბაზს აერთიანებდა; იმედი, რწმენა კი, რომ საქმე რეალურად დადებოდა ფეხზე, ყველას როი ჰყოფნიდა. როდესაც განხილვის პროცესში შეკრების წამყვანმა, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის პირველმა მოადგილემ მინდია უგრეხელიძემ დამსწრეთ შესთავაზა, ახლა მას მოვუსმინოთ, ვინც იდეას პრინციპულად არ ეთანხმებაო, ამგვარი პიროვნება დარბაზში არ აღმოჩნდა. ასე რომ, აშკარა შეიქმნა: უმაღლესი სკოლის თანხან-მოურავისეული პროექტი საინტერესო და ერის ხვალინდელი დღისათვის მეტად საშური საქმეა. მთავარია უპირველესად მიზნის ნათლად ფორმიდგენა, სულ სხვა პრინციპით უნდა ვასწავლოთ, სხვა, ძირითადად ინდივიდუალური პროგრამებით უნდა ვთხელმძღვანელოთ. მე უნდა ხაზი გავუსვა — განსხვავება იმ, მომავალ და ამ, ტრადიციულ სასწავლებლებს შორის მხოლოდ ენა კი არ უნდა იყოს, არამედ სწავლების ხარისხი, დონე. აქ ისმის საკითხი, რამდენად ვართ მზად ამისათვის. კი, მოვიწვევთ დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტებიდან სპეციალისტებს, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება. ჩვენი მეცნიერები შეძლებენ ასეთ დონეს უპასუხონ? აქ ხომ კონკრეტულ სპეციალობასთან ერთად ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნაც იქნება საჭირო. გარდა ამისა, მოწვეულ სპეციალისტებს სათანადო კოლექტივი უნდა დახვდეს აქ — ასისტენტები, პედაგოგები, რომლებსაც დიდი მუშაობა მოუწევთ. რასაკვირველია, არის ფინანსური პრობლემებიც.

ამ საქმეში თავიანთი სიტყვა, ალბათ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებმა უნდა თქვან, რადგან ძირითადად აქ არიან დასაქმებულნი ის მეცნიერები, რომელთა ცოდნა-გამოცდილება ასე სჭირდება მომავალი თაობის აღზრდას.

და თქვეს კიდეც:

აკადემიკოსი **ᲛᲘᲠᲐᲑ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ** — გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი: უცხოური პროფესურის მოწვევა იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ საამისო სახსრები ძნელი გამოსანახი შეიქნება. რაღაცნაირი გაცვლა უნდა მოვახერხოთ. რა მაქვს მხედველობაში? — ჩვენც ხომ ჩვენი კოზირები გვაქვს. ეს ბის დამცველი ორგანიზაცია, ვთქვათ, ერთგვარი ასოციაცია, რადგან უამრავი პრობლემის გადაჭრა გახდება აუცილებელი, — თქვა სტატიის ავტორმა გ. თარხან-მოურავმა. — იქნება ტერიტორია, სახსრები, მოლაპარაკებები უცხოეთის სამეცნიერო წრეებთან და სხვა. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მიიღებს შესაბამის დადგენილებას, გაიშლება კონკრეტული საქმიანობა. უპირველესად საჭირო იქნება საკმაოდ ვრცელი ინფორმაციის შეგროვება, გადამუშავება და პროექტის შემუშავება.

შემდეგი ეტაპი იქნება ორგანიზაციული შუმაობა.

აკადემიკოსი **ᲕᲐᲮᲐ ᲝᲙᲣᲯᲐᲕᲐ:** თუ გვინდა, რომ თავისუფალმა უნივერსიტეტმა ჭეშმარიტად მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მოგვიმზადოს, სულ სხვა პრინციპით უნდა ვასწავლოთ, სხვა, ძირითადად ინდივიდუალური პროგრამებით უნდა ვთხელმძღვანელოთ. მე უნდა ხაზი გავუსვა — განსხვავება იმ, მომავალ და ამ, ტრადიციულ სასწავლებლებს შორის მხოლოდ ენა კი არ უნდა იყოს, არამედ სწავლების ხარისხი, დონე. აქ ისმის საკითხი

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲩᲐᲮᲔᲗ ᲛᲔᲡᲢᲘᲐ—ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲐᲜᲘ

ᲛᲔᲡᲢᲘᲘᲡ რაიონის ტერიტორია 3.044,5 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა — 4.300 კომლი. იგი მდიდარია ტყეებით, ჩანჩქერებით, ბუნებრივი საძოვრებით, ციხე-კოშკებით, ეკლესიებით, არქიტექტურული ანსამბლებით. მატერიალური ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი X-XII საუკუნეებს განეკუთვნება. თითქმის ყველა სოფელშია სვანური კოშკები, ამიტომ მესტიას ათასი კოშკის მხარეს ეძახიან.

სვანეთი დიდხანია მკვლევარ-მეცნიერთა ყურადღებას იქცევს. ჯერ კიდევ 1895 წელს ნიკოლოზ ერმილოვიჩ ძეგლების აღწერის მიზნით იქ იმყოფებოდა რუსი მკვლევარი პ. უვაროვა. 1910 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შეწევნით ლეონიდ ზემლიაჩენკომ და სვანეთში მოენყო ექსპედიცია ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით. იმავე მიზნით იმოგზაურა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემაც. მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეძლო მთლიანად ენახა ეკლესიების განძეულობა, სრულად აღერიცხა და აღეწერა იგი. ე. თაყაიშვილი აღნიშნავდა: „ეკლესიაში იშვიათად თუ ვინმეს უშვებდნენ, არა თუ საერო, არამედ სამღვდელო პირსაც“. ალბათ ასეთი მოქმედება თავის დროზე გამართლებული იყო.

მიუხედავად წინააღმდეგობისა, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა, რომელმაც სვანეთის სიძველეთა აღრიცხვისა და მისი შესწავლის მიზნით განახორციელა ექსპედიცია 1931 წელს. ექსპედიციამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გ. ჩუბინაშვილი, პ. ინგოროყვა და ს. ყაუხჩიშვილი, მუშაობის ანგარიში წარუდგინა სათანადო ორგანოებს. მასში აღნიშნული იყო ძეგლების დაცვისა და გადარჩენის გზები. 1947 წელს საქართველოს მთავრობამ გამოუყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ეკლესიებისა და ოჯახებში შემონახული ძეგლების შეკრება და მესტიის მუზეუმში თავმოყრა, რადგან მათ ეკლესიებში სიცივის, სინესტისა და მოუვლელობისგან გარდუვალი დაღუპვა ემუქრებოდათ.

მუშაობა მაინც ნელი ნაბიჯით მიდიოდა. ძნელი გახდა იმ ნივთების მესტიის მუზეუმში გადმოტანა, რომლებიც ცალ-ცალკე სოფლებს ეკუთვნოდა. მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობისა, მაინც მოხერხდა ზოგიერთი ნივთისათვის მუზეუმში შესაფერისი ადგილის მიჩენა. მაგალითად, გადმოტანილ იქნა 46 ნივთი და 21 ხელნაწერი, მათ შორის 897 წლის სახელგანთქმული „ადიშის ოთხთავი“. ყურადღებას იპყრობს ვერხლის მოოქროვილი ჭედური ჯვარი, რომელიც ქართული ჭედური ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო და მნიშვნელოვანი ძეგლია. იგი XI საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება. ოსტატი დიდი ზომიერებით გადმოგვცემს ჯვარზე გამოსახული წმინდა გიორგის ცხოვრების 9 სცენის როგორც ზოგად ფორმას, ასევე მის ცალკეულ დეტალებს.

სვანეთის ძეგლების აღრიცხვა, შესწავლა და დაცვა ახალი ძალით დაიწყო 1972 წელს. საქართველოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ინიციატივით გამოყოფილმა კომისიამ დაათვალიერა უშგულის ეკლესიები და ინ არსებული საგანძური. გამოითქვა აზრი უშგულში დროებითი მუზეუმის გახსნის თაობაზე, და ახალი მუზეუმის მშენებლობის შესახებ. ამავე წელს სვანეთში მუშაობა დაიწყო მუზეუმის სამეცნიერო-კომპლექსურმა ექსპედიციამ მ. ჩართოლანის ხელმძღვანელობით. 1973 წელს ექსპედიციის მუშაობის შედეგები განიხილა ჯერ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა და შემდეგ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და მიღებულ იქნა საგანგებო დადგენილება „სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების აღრიცხვა-დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ახლა სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ახალ შენობაში გადასასვლელად ემზადება. მესტიაში დიდი მუზეუმი შენდება. იგი მალე დამთავრდება. მზადდება საექსპოზიციო გენერალური თემატური გეგმა. არ შეიძლება მადლიერებით არ მოვიხსენიოთ მუზეუმის დირექტორი, ქალბატონი ციალა ჩართოლანი, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია სვანეთის ეკლესიებში დაცული ფერწერული ხატების, სხვა განძების მესტიის მუზეუმში დასაუნჯებლად.

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲣᲨᲒᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲡ...

ᲣᲨᲒᲣᲚᲘ ზღვის დონიდან 2.200 მეტრის სიმაღლეზე ალპურ ზონაში მდებარეობს. ევროპაში ყველაზე მაღალი დასახლებაა. მესტიიდან უშგულამდე 46 კილომეტრია. საავტომობილო გზა გადადის ულვირის უღელტეხილზე, ზღვის დონიდან 1922 მეტრის სიმაღლეზე. მგზავრი გაივლის ულამაზეს სოფლებს — მულახს, იფარს, კალას და დევის კლდის ვიწრო ხეობით შედის მხარას მთის ძირას გაშლილ უშგულში. აქ, ამ მთის წიაღში იბადება მდინარე ენგური.

— ვისაც უშგული არ უნახავს, მას სვანეთი არ უნახავს,— იტყვიან ხოლმე და ეს სწორიც არის. უშგული განუმეორებელია თავისი მდებარეობით, არქიტექტურული ნაგებობებით, ნივთიერი ძეგლებით. უშგულის ოთხ უბანში (ყიბიანი, ჩვაბიანი, მურყმელი და ჩაჟაში) შვიდი ეკლესიაა, რომელთა შორისაა ცნობილი ლამარიას, ჩაჟაშის მაცხოვრის, მურყმელის ბარბალეს, წმინდა გიორგის და ფუსდ-თარანგზელის ეკლესიები. ყველა ამათ ამაყად გადმოყურებს ციხე-სიმაგრის კომპლექსი ეკლესიით. ამ კომპლექსს ადგილობრივი მცხოვრებლები თამარ მეფის სასახლეს უწოდებენ (საზამთრო და საზაფხულო სასახლე). მას მეორე სახელიც აქვს — სამჭედლო, სვანურად „ლაშკარ“. ძველი გადმოცემების მიხედვით, კომპლექსის შიგნით სამჭედლოები ყოფილა და სხვა ლითონებთან ერთად ოქროსაც ამუშავებდნენ.



ᲐᲗᲐᲡᲘ ᲙᲝᲨᲙᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: უშგულის ხედი; ქართული ჭედური ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლი — მესტიის ჯვარი; ნიუარაძეების ყოფილი ციხე-სახლი უშგულში. აქ ამჟამად გამოფენილია მოწყობილი სასტუმრო „უშბა“ მესტიაში.

ᲗᲔᲝᲜᲘᲫᲔ ᲤᲣᲢᲙᲐᲠᲐᲫᲘᲡ, ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲚᲐᲕ ᲒᲔᲜᲒᲘᲣᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲥᲠᲔᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ᲛᲝᲛᲫᲚᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲑᲐᲠᲩᲧᲔᲑᲡ!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ შარშან ნოემბერში გაახმიანა სოფელ რეხას მძიმე მდგომარეობა საქართველოს რადიომ. და პირველი დამზმარეც მაშინ გამოუჩნდა წალკის რაიონის ამ ერთადერთ ქართულ სოფელს —საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს საგარაჟო ტექნიკის გამშვებ-ამმუშავებელი და მომსახურების სპეციალიზებული სამმართველო. წლეულს გაზაფხულზე სწორედ ამ სამმართველოს უფროსის მოადგილესთან ჯემალ ცხადაიასთან, პარტბიუროს მდივანთან ზურაბ სახელაშვილსა და პროფკომის თავმჯდომარესთან ვაჟა ნონიაშვილთან ერთად ვეწვიეთ მთაში ჩაკარგულ სოფელს და თვალნათლივ დავინახეთ, დაეწმუნდით, როგორ გვეცლება იგი ხელიდან, როგორ ღაფავს სულს დღეს ქართული საზოგადოებრიობისაგან მაყურებლად ქცეული, ერთ დროს კი ხალხმრავალი რეხა. ოცდაოდ წელიწადში თითქმის განახევრდა — 180-მდე კომლიდან შემორჩა, მოსწავლეთა რაოდენობა 230-დან 78-მდე დავდა, სახლთან საძებნელი გახდა ახალგაზრდობა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: სოფელი კარგავს თვითმყოფადობას, მშობლიურ ენას — რეხელები შინაურობაში, თავიანთი ბერძენი მეზობლების მსგავსად, თურქულ დიალექტზე ლაპარაკობენ... და ყველაფერი ეს ხდება უგზოობის, შრომისუნარიანი მოსახლეობის დაუსაქმებლობის, კულტურული ცხოვრების ჩაკვდომის გამო: აკლიათ მასწავლებლები, სპეციალისტის უყოლობის გამო საერთოდ განუხორციელებელ ოცნებად რჩებათ ნებისმიერი მბატვრული საღამოს მოწყობა, ფოლკლორული ანსამბლის ჩამოყალიბება, თბილისიდან ვერ იღებენ ტელეგადაცემებს, მოკლებული არიან სამედიცინო მომსახურებას...

ამის შესახებ ყოველგვარი შელამაზების გარეშე დაგწერეთ („კომუნისტი“, „სახთელი რომ არ ჩაქრეს“, 12 მარტი) და იმედი გამოვთქვით, რომ საზოგადოებრიობა გულთან მიიტანდა რეხელთა გასაჭირს. საბედნიეროდ, ასეც მოხდა. გამოეხმაურნენ არა მხოლოდ ორგანიზაციები, არამედ კერძო პირებიც. მაგალითად, თბილისელმა პედაგოგ-ორგანიზატორმა ჯემალ ლეჟავამ თავისი დანაზოგით ათობით წიგნი შეიძინა და თვითონვე აუტანა რეხელებს. მაგრამ სანამ ამის თაობაზე მოგითხრობდეთ, გვინდა რედაქციაში წალკიდან შემოსული ერთი წერილი გაგაცნოთ:

„რეხელები 1828-1830 წლებში გამოხიზნულან თურქეთიდან, არდაგნის ოლქის დიდი ველიდან, ჯერ ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიაში დასახლებულან, მერე, იქ მოსახლეობის სიმჭიდროვის გამო — ჭიზბარულნი, ბოლოს კი — რეხაში, სადაც მათზე ადრე სურამელი მურმანიშვილები ყოფილან დამკვიდრებული. იმ დროს ქართველი მეფეები ჰყოლიათ, სწორედ მისი აგებულია რეხის მთავარანგელოზის ეკლესია. მისი გარდაცვალების შემდეგ ღვთისმსახურება მეზობელი სოფლის ავრანლოს ბერძენ მღვდლებს გაუგრძელებიათ. მათ რეხელების გვარების „ოგ“-ით დაბოლოება დაიწყეს. ასე გახდა საბაძე — საბოგი, ვახტანგიშვილი — ვახტანგოვი, მურმანიშვილი — მურმანოვი, ბოლოკიშვილი — ბალაბანოვი, ღარიბაძე — „ალაიჩევი... ამ უკანასკნელი ორი გვარისანი ახლა საარქივო მასალებს ეძებენ, რათა ქართული გვარები აღიდგინონ, ზოგიერთი მათგანი ბერძნებადაც კი წერია. ამ საუკუნის 20-იან წლებში სოფელს მღვდლად გიორგი დარჩია ჰყავდა, წარმოშობით ლანჩხუთელი. მან უდიდესი ამაგი დასდო რეხას, იქაურები ხელოვნურ გადაგვარებას გადაარჩინა. ახლადგასაბჭოებულ საქართველოს მთავრობას სთხოვა, რეხა გორის მაზრისთვის დაექვემდებარებინა, რათა ქართველებთან ჰქონოდათ ურთიერთობა. თხოვნა დაკმაყოფილეს და ხალხი მოკლე ხანში ბნელიდან გამოვიდა, იწყო ნახევრადდავიწყებული დედაენის აღდგენა, გაიხსნა სკოლა. 1928 წელს შეიქმნა სასოფლო საბჭო, რომელმაც 50-იანი წლების შუახანებამდე იარსება. 1932 წელს რეხა ადმინისტრაციულად ბორჯომის რაიონს დაექვემდებარა, მაგრამ სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ ავლავ წალკის რაიონს შეუერთეს. მთლიანად არაქართულ გარემოში მოხვედრილი სოფლის საქმე ისევ უკან-უკან წავიდა. დღეს, როდესაც ქართულმა ეროვნულმა სულმა ასე იმძლავრა, რეხის ასეთი ყოფა დანაშაულია. ყოველმა ქართველმა თითო კენჭი რომ შეშატოს, რეხა მომძლავრდება, მამა-პაპურ კერაზე სიცოცხლე მოღონიერდება, სამშობლოს, ქართველობის სადიდებლად თავის სიტყვას ისიც იტყვის“. ამ იდეით

ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲕᲔᲚ. ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲯᲒᲣᲤᲘ „ᲠᲔᲮᲐ“

ᲕᲘᲜᲘᲫᲔᲑᲜᲐ, — გვწერს დასასრულ გ. ნიკალიმოვი, ეს კარგი კაცი, რომელიც თავისი გვარის წარმომავლობასა და ეროვნებაზე არაფერს გვატყობინებს თავანკარა ქართულით დაწერილ ბარათში.

საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს საგარაჟო ტექნიკის გამშვებ-ამმუშავებელი და მომსახურების სპეციალიზებული სამმართველოს მუშაკები ხელცარიელი როდი ავიდნენ მაშინ რეხაში. 3500 მანეთის საჩუქრები ჩაუტანეს სოფლის სკოლას: პიანინო, ტელევიზორი, რადიოლა, ქართული სიმღერების ჩანაწერების მდიდარი კოლექცია, სპორტული ინვენტარი... ამასთან გულდინჯად გამოეკვლიეს სოფლის საჭიროებანი. მინისტრმა, აწ განსვენებულმა ალექსანდრე გლუროჯიძემ, სპეციალური ბრძანებით საშეფო ღონისძიებათა ვრცელი ნუსხა დაამტკიცა და კონკრეტული პასუხისმგებლობაც განაწილა.

და აი, უკვე: ავრანლოდან რეხამდე მისასვლელი 5 კილომეტრის სიგრძის გზა შეკეთდა და მოიხრეშა, უშუალოდ სოფლის შიგა-გზების კეთილმოწყობა კი დროებით გადაიდო, სანამ ყველა, 180-ვე კომლისათვის არ დამზადდება და შეიკიდება რკინის ჭიშკრები (34 ჭიშკარი უკვე დამზადდა და გაიგზავნა კიდეც). მდინარეზე ასაგები იყო ორი ხიდი— ერთის მშენებლობა უკვე დასრულდა. კავშირგაბმულობის სამინისტროს დახმარებით დაიდგა რეტრანსლიატორი და სოფელი თბილისიდან უკვე იღებს ტელეგადაცემებს, რესპუბლიკის მთავრობამ რეხა გამოიყო ავრანლოს სასოფლო საბჭოდან და იქ დამოუკიდებელი სასოფლო საბჭო შექმნა. ამ დღეებში დაინიშნება მუდმივი საავტობუსო მარშრუტი „თბილისი-რეხა“. მიმდინარეობს სოფლის მიდამოებში ბაზალტის მოსაპოვებლად კარიერის გახსნის მიზანშეწონილობის შესწავლა (ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას), რეხაში აპირებენ ყველის საამქროს მოწყობას, რაც ასევე ხელს შეუწყობს მოსახლეობის ნაწილის დასაქმებას და მატერიალურად მომძლავრებას; რეხასთან დადებულია ხელშეკრულება სამინისტროს სისტემის მუშა-მოსამსახურეთათვის სოფლის მეურნეობის ზეგეგმითი პროდუქტების — „კარტოფილის, ხორცის, რძის ნაწარმის მოწოდების თაობაზე. მონაწილეობა მიიღეს ავრანლოდან რეხამდე სატელეფონო კაბელის გაყვანებინა, რათა ქართველებთან ჰქონოდათ ურთიერთობა. თხოვნა დაკმაყოფილეს და ხალხი მოკლე ხანში ბნელიდან გამოვიდა, იწყო ნახევრადდავიწყებული დედაენის აღდგენა, გაიხსნა სკოლა. 1928 წელს შეიქმნა სასოფლო საბჭო, რომელმაც 50-იანი წლების შუახანებამდე იარსება. 1932 წელს რეხა ადმინისტრაციულად ბორჯომის რაიონს დაექვემდებარა, მაგრამ სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ ავლავ წალკის რაიონს შეუერთეს. მთლიანად არაქართულ გარემოში მოხვედრილი სოფლის საქმე ისევ უკან-უკან წავიდა. დღეს, როდესაც ქართულმა ეროვნულმა სულმა ასე იმძლავრა, რეხის ასეთი ყოფა დანაშაულია. ყოველმა ქართველმა თითო კენჭი რომ შეშატოს, რეხა მომძლავრდება, მამა-პაპურ კერაზე სიცოცხლე მოღონიერდება, სამშობლოს, ქართველობის სადიდებლად თავის სიტყვას ისიც იტყვის“. ამ იდეით

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

„ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „მერანმა“ გამოსცა ჯემალ რატიანის რომანი „მდინარესა და მთეს გიმღა“. ნაწარმოებმა, რომელიც ამას წინათ ჟურნალმა „ცისკარმაც“ გამოაქვეყნა, მკითხველის ინტერესი გამოიწვია. მწერალი გაბედულად ამბობს სთქმელს ჩვენს დღევანდელობაზე, ყურადღებას იქცევს თვითონ ფორმაც რომანისა.

წიგნის რედაქტორია გ. ხეთაგური, მხატვარი — მ. თავაძე.

ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ ᲐᲕᲭᲗᲝᲕᲐᲒᲖᲐᲚᲨᲘ

ᲑᲐᲥᲪᲘ, 6 იანვარი (საკუთარი კორ.). დღეს დილით ქალაქ აგდამის ავტოვაგზლის შენობაში მოხდა ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲘ, რომელმაც დაანგრია შენობა. აფეთქების შედეგად ორი კაცი დაიღუპა და ორი დაშავდა.

წინასწარი მონაცემებით, რომლებიც ჯერ კიდევ დასაზუსტებელია, აფეთქების მიზეზი შეიძლება იყოს გაზის დაგროვება ავტოვაგზლის სარდაფში, რომლის მაღლობლად გადის გაზსადენის მაგისტრალური ხაზები. ქალაქის მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს აღდგენითს სამუშაოებში.

აგდამის რაიონის პროკურატურა და შინაგან საქმეთა განყოფილება იძიებენ აფეთქების მიზეზებს.

ᲒᲐᲖᲗᲘ „კომუნისტის“ რედაქციას ესაჭიროება კვალიფიციური მბეჭდავ-ტემანქანე. პირობების გასაგებად მიმართეთ რედაქციის სამდივნოს 99-66-10.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ
Მ. ᲣᲒᲠᲘᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲣᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲪᲮᲐᲠᲔ ᲙᲐᲛᲐᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲣᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ გულშემატკივრებმა იციან, რომ თბილისის „ენამ“ 3 იანვრიდან შეუდგა ახალი სპორტული სეზონისთვის მზადებას. პირველი ვარჯიშები გუნდმა დიღმის სასწავლო-საწვრთნელ ბაზაზე გამართა. მწვრთნელები ძირითადად ᲐᲧᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡ არიან ფეხბურთელთა ᲯᲝᲚᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ მდგომარეობით და სერიოზული სამომავლო გეგმები აქვთ. ლანჩხუთის „გურიიდან“ „დინამოში“ დაბრუნდნენ გია გურული და ბადრი დანელია, თბილისში სამუშაოდ გადმოვიდა ქუთაისის „ტორპედოს“ უფროსი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი, გუნდის კონსულტანტად მოიწვიეს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი კონსტანტინ ბესკოვი.

გასულ შაბათს გაიმართა თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის საბჭოს სხდომა, რომელშიც საბჭოს წევრებთან ერთად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ფეხბურთის გულშემატკივრები და ჟურნალისტები. დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მოწყობა და მასში თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მონაწილეობა. გაიმართა პრინციპული, გულახდილი საუბარი, გამოითქვა მრავალი საყურადღებო მოსაზრება. გამომსვლელთა ერთმა ნაწილმა მხარი დაუჭირა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში რესპუბლიკის უძლიერესი გუნდების მონაწილეობის საჭიროებას, ფეხბურთის სპეციალისტთა უმრავლესობამ კი ამ ეტაპზე მიზანშეუწონლად მიიჩნია საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარის თქმა. ხუთსაათიანი ცხარე კამათის შემდეგ, სხდომის მონაწილეებმა, მიიღეს გადაწყვეტილება: თბილისის „დინამო“ ჯერჯერობით ითამაშებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში. ამასთანავე, სხდომაზე წამოაყენეს წინადადება ეროვნული საფეხბურთო თასის გათამაშების თაობაზე. ნავარაუდევია, რომ თასის გათამაშება შემოდგომაზე მოეწყობა და მასში მონაწილეობას მიიღებს საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს და პირველ ლიგაში მოსასპარზე რესპუბლიკის ხუთივე გუნდი, აგრეთვე, საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატში გამარჯვებული.

სხდომაზე ბაზგასმით ითქვა, რომ აუცილებელია რესპუბლიკის საფეხბურთო სფეროს ინტენსიფიკაციისთვის ბრძოლა, ქართული ფეხბურთის მართვის სრულიად ახალი სტრუქტურული მექანიზმის შექმნა. განიხილეს და მოიწონეს განცხადების ტექსტი, რომელსაც საქართველოს დელეგატთა ჯგუფი წარადგენს ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის კონფერენციაზე. ამ განცხადებაში ნათქვამია: „ᲩᲕᲔᲜ ᲞᲐᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲗᲔᲑᲘᲗ ᲡᲣᲠᲗ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐᲡᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲓᲐᲪ ᲐᲒᲝ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲠᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ. 18.25 — ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲗᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲡᲘᲣᲠᲞᲠᲘᲖᲘ“. 19.25 — რეკლამა, განცხადება, ინფორმაცია. 19.30 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“. 20.00 — ᲯᲝᲙᲘᲠ. ᲐᲨᲨ-ის „ფილადელფია ფლაიერზი“ — ცსკა. 22.00 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“. 22.30 — ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ. 22.40 — „ᲠᲝᲛᲔᲝ ᲓᲐ ᲯᲣᲚᲘᲔᲢᲐ“. ფილმ-ბალეტი. 0.10 — „მე თქვენ გიმღერებთ“. ვ. მატვეევის სიმღერები გ. ხომჩიკის შესრულებით. 0.45 — ახალი ამბები.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ. 9.00 — ტანვარჯიში. 9.15 — მხატვარ Თ. კორინის სახლ-მუზეუმი. 10.00, 12.15 — გერმანული ენა. 10.30 — შეხვედრა ოსტანკინოს საკონცერტო სტუდიაში რსფსრ დამსახურებულ არტისტ ა. ს. პონომარიოვთან. 12.45 — ფილმი ბავშვებს. „ბავშვობის უკანასკნელი ზაფხული“. II და III სერია. 14.55 — განმეორებითი ტელეფილმის სეანსი. „შარშანდელი კადრილი“. 18.00 — „ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ ᲒᲘᲢᲐᲠᲐᲡᲗᲐᲜ“. საერთაშორისო კონკურსის დიპლომანტის გ. ვერშინგორის გამოსვლა. 18.25 — მოძრაობის უსაფრთხოებისათვის. 18.30 — „ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲔᲠᲗᲐᲓ“. ებრაელთა ავტონომიური ოლქის კულტურის განვითარების შესახებ. 19.30 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“. 20.00 — ნარიმის მხარე. „ადამიანები და ბედი“. საბჭოთა მეურნეობა „ᲩᲐᲒᲝᲛᲘᲩᲝᲕᲘᲪᲘᲜ“ და თანამედროვე სოფლის პრობლემები. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო“. 21.15 — „ᲕᲘᲠᲩᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲗᲐᲛᲐᲡ“. № 25 სკოლის უფროს კლასებში აღზრდისა და სწავლების შესახებ. 22.00 — დაუვიწყარი მუსიკალური საღამოები. ლისტის სახელობის კამერული ორკესტრის კონცერტი. 22.30 — ისტორიული ფილმი. „ᲘᲕᲐᲜᲔ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲘ“ I სერია. 0.15 — „ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲜᲐᲙᲘᲐᲜ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ“.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ—ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 10 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ. 11.05 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარი“. მხატვრული ფილმი „აჩრდილი სკოლაში“. 12.35 — მათემატიკის ტელეკურსი. 13.05 — ნაშუადღევს. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — შეეისწავლოთ გერმანული ენა. 16.30 — საერთაშორისო დღიური. 17.05 — „ბუნება მბრძანებელია“. 18.00 — „გზებსა და გზაჯვარედინებზე“. 18.30 — განცხადებები. 18.35 — საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. 19.00 — „ნიჭი და ქველმოქმედება“. მარიუს ქუთათელაძე. 19.35 — ახალგაზრდობისათვის. „ᲝᲠᲛᲝᲜ“. 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ᲡᲣᲚᲮᲐᲜ-ᲡᲐᲑᲐ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ“. 20.55 — „შეხვედრა ელენა ბოლქვაძესთან“. 22.00 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“. 22.30 — ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲙᲠᲐᲜᲘ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში. 22.50 — სატელევიზიო ფილმი-სპექტაკლი „ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘᲜᲘ“ (რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლი).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ. 16.05 — მულტიპლიკაციური ფილმი „ᲛᲐᲣᲒᲚᲘ“. 17.15 — დოკუმენტური ფილმი „ᲐᲜᲐ ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲐᲡ ᲛᲔᲝᲠᲔᲡᲘ ᲡᲘᲛᲦᲠᲘ“ (პირველი ჩვენება). 17.45 — მხატვრული ფილმი „ᲓᲠᲝᲗᲐ ᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲪᲝᲚᲔ ᲨᲔᲘᲠᲗᲝᲗᲡ“. 19.10 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ᲚᲝᲜᲓᲠᲔ“.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ. 7.30 — „120 წუთი“. 9.30 — გამარჯობა, მუსიკა!. 10.15 — „მსოფლიოს გარშემო“. ალმანახი. 11.15 — „ᲪᲘᲡᲐᲠᲢᲧᲔᲚᲐ“. ქმნერების (კამბოჯა) მუსიკალური ფოლკლორი. 11.30 — ᲯᲝᲙᲘᲠ. ᲐᲨᲨ-ის — „ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ ᲤᲚᲐᲘᲔᲠᲖᲘ“ — ცსკა. 13.30 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“. 14.00 — „ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲪᲮᲔᲜᲘ“. სამეცნიერო-პოპულარული ტელეფილმი. XIV და XV სერია. 16.30 — „ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜ ᲒᲠᲐᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲫᲔᲑᲜᲔᲚᲐᲓ“. მხატვრული ტელეფილმი. VII სერია. 17.45 — მულტფილმი. 17.55 — „ᲒᲐᲛᲒᲠᲬᲐᲕᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲝᲛᲓᲐ“. საბჭოთა გერმანელების ქვეყნიდან წასვლის პრობლემებთან დაკავშირებით. 18.25 — ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ საათი ინგლისური ენის გაკვეთილითურთ. 19.25 — „ᲩᲔᲛᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ“. 20.00 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“. 20.35 — ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ. 21.00 — „ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ“. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ. 22.00 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“. 22.30 — ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ. 22.40 — „ᲠᲝᲛᲔᲝ ᲓᲐ ᲯᲣᲚᲘᲔᲢᲐ“. ᲤᲘᲚᲛ-ᲑᲐᲚᲔᲢᲘ